საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად

2020

სარჩევი

1. შესავალი 3
2. აქციის დაშლისას ძალის გამოყენების სამართლებრივი სტანდარტები 6
3. ძირითადი მიგნებები 9
4. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები 10
   4.1. ვიდეო-ჩანაწერების გამოთხოვა და დათვალიერება 10
   4.2. დოკუმენტაციის ამოღება და გამოთხოვა 11
   4.3. გამოკითხვა 12
      4.3.1. მოქალაქეთა გამოკითხვები 12
      4.3.2. შსს-ს ქვედა რგოლის თანამშრომელთა ჩვენებები 13
      4.3.3. შსს-ს ზედა რგოლის ჩვენებები 18
   4.4. ექსპერტიზები 20
   4.5. რეზინის ტყვიების გამოყენება 21
5. ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმეები 26
   5.1. დ.ნ.-ს ეპიზოდი 27
   5.2. გ.კ.-ს ეპიზოდი 28
   5.3. თ.მ.-სა და მ.გ.-ს ეპიზოდი 29
   5.4. დაზარალებულად ცნობილი სხვა პირები 30
6. სახალხო დამცველის ინტერვენცია 31
7. დასკვნა 39

1. შესავალი

2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მოსახლეობის მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების თანამდევი ნაწილი გახდა და მრავალთვიან, უწყვეტ აქციებში გადაიზარდა. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული დისკუსიის საკვანძო საკითხად აქციის დაშლის კანონიერება მიიჩნევა, რაც მოვლენების სამართლებრივ ჭრილში განხილვას მოითხოვს.

21 ივნისს სახალხო დამცველმა საჯაროდ მოითხოვა პროტესტის მონაწილე მოქალაქეთა მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენების, დაკავებულების მიმართ ძალის გადამეტების, ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე გამოძიების დაწყება.[1] სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი (რამდენიმე 2-ჯერ), რომელთაგან 7 პირის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აპარატმა მიმართა პროკურატურას რეაგირების მიზნით.[2]

გამოძიება პარალელურად დაიწყო ორმა უწყებამ - შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების შესწავლას შეუდგა, სამართალდამცავთა მოქმედების კანონიერების შესწავლა კი გენერალურმა პროკურატურამ.

გენერალურმა პროკურატურამ გამოძიების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით სახალხო დამცველი მიიწვია.[3] სახალხო დამცველის რწმუნებულები 46-ჯერ იმყოფებოდნენ პროკურატურაში საქმის მასალების, მათ შორის, ცალკე წარმოებად გამოყოფილი 3 სისხლის სამართლის საქმის (რომლებშიც კონკრეტული სამართალდამცავების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო) გასაცნობად. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ეცნობოდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს და რაციის ჩანაწერებს.

საგულისხმოა, რომ გამოძიებაში სახალხო დამცველის მსგავს ჩართულობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საქმის მასალებზე წვდომა სახალხო დამცველს მხოლოდ შემაჯამებელი გადაწყვეტილების შემდგომ ეძლევა.[4] შესაბამისად,

---

[1] იხ. < https://bit.ly/2M2bpir > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს]

[2] სახალხო დამცველის რწმუნებულებთან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ისაუბრა უფრო მეტმა დაკავებულმა, თუმცა, ვინაიდან მათ უარი თქვეს რეაგირების განხორციელებაზე, სახალხო დამცველის აპარატი არ იყო უფლებამოსილი მიემართა საგამოძიებო უწყებისთვის.

[3] იხ. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 24 ივნისის განცხადება https://bit.ly/32RW2j8 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს]

[4] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პროკურატურამ გაითვალისწინა მიმდინარე გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი და გამონაკლისის სახით სახალხო დამცველს საქმის მასალების გაცნობის უფლება მისცა. თუმცა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის მასალებზე წვდომა პროკურატურის კეთილ ნებას არ უნდა ექვემდებარებოდეს და ეს უფლება კანონით უნდა იყოს გარანტირებული. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება პარლამენტმა არ გაიზიარა.[5] ამ კუთხით საგულისხმოა, პროკურატურისადმი საზოგადოებრივი ნდობის დაბალი მაჩვენებელიც.[6]

ნიშანდობლივია ისიც, რომ თუნდაც მოცემულ საქმეზე, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დროის ხანგრძლივ მონაკვეთებში, სხვადასხვა მიზეზებით, არ ეძლეოდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა. საქმის გაცნობის პროცესში გასათვალისწინებელია მიმდინარე გამოძიების პროცესი, რა დროსაც საგამოძიებო ორგანოს ობიექტურად ესაჭიროებოდა მოპოვებული მასალები შემდგომი მოქმედებების ჩასატარებლად. შესაბამისად ბუნებრივია, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ყოველდღიურ რეჟიმში არ ჰქონდათ საქმის სრულ მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. პროკურატურამ 2019 წლის 10 ოქტომბრის შემდეგ სახალხო დამცველის რწმუნებულები საქმის გასაცნობად მხოლოდ ოთხჯერ დაუშვა[7], მათ შორის, უკანასკნელად საქმის მასალებზე დაშვება 2020 წლის 3 თებერვალს მოხდა. სახალხო დამცვლის წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები სწორედ ამ ფარგლებში შესწავლილი საქმის მასალების ანალიზს ეყრდნობა.

გამოძიების პროცესში ჩართვისთანავე, სახალხო დამცველმა განაცხადა[8], რომ შეაფასებს გამოძიების პროცესს ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. შეფასების კრიტერიუმები გამოძიების დამოუკიდებლობის, დროულობის, ზედმიწევნითობის, კომპეტენტურობისა და დაზარალებულის ჩართულობის ელემენტები იქნება; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა ყველა აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჯეროვანი გულისხმიერებით ჩატარებას.

---

[5] 2018 წლის 29 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა N15-1/14789 წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველისთვის გამოძიების დასრულებამდე განსაკუთრებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების მასალების გაცნობის უფლებამოსილების მინიჭება. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, 2019 წლის 11 აპრილის სხდომაზე, განიხილა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით, არ გაიზიარა და უარყოფილად ცნო იგი.

[6] *inter alia*, NDI საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედგები, 2019 წლის აპრილი, <https://bit.ly/3ay793q> [ბოლოს ნანახია: 2020 წლის 7 მარტს]

[7] 2019 წლის 25 და 26 ნოემბერს, 2020 წლის 15 იანვარს და 3 თებერვალს.

[8] < https://bit.ly/2vlhhHY> [ბოლოს ნანახია: 2020 წლის 7 მარტს]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პირის მიმართ სამართალდამცავების მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალა, რომელიც გამოყენებული არ არის თავად ამ პირის ქმედებით გამოწვეული საჭიროების გამო, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით (წამების აკრძალვა) დაცული უფლების დარღვევას და შესაბამისად, ამ ფაქტის გარშემო მიმდინარე გამოძიებაც კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით ფასდება.[9]

2019 წლის 8 ივლისს სახალხო დამცველის N124 ბრძანებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო[10], რომელიც წარმოადგენს სათათბირო ორგანოს. საბჭოს წევრებს წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ადვოკატები და აქტივისტები. საბჭოს მიზანია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესწავლის პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, აგრეთვე პროცესის ეფექტიანობის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებისას სახალხო დამცველის კონსულტირება. საკონსულტაციო საბჭოს სხდომები ჩატარდა 2019 წლის 17 ივლისსა და 18 სექტემბერს.

საქმის შესწავლის შედეგად, გამოძიების პროცესის პარალელურად, საქართველოს სახალხო დამცველმა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გასცა 5 წინადადება და 1 წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, რაზეც ანგარიშში დეტალურად იქნება საუბარი.

ამ დროისთვის, სამართალდამცავთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. პროკურატურამ ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპისთვის (2020 წლის მარტი) ვერ მოახერხა 20-21 ივნისის ღამის მოვლენების სრული სისტემური სამართლებრივი ანალიზი. რიგით პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ერთეული აქცენტების პარალელურად, პროკურატურამ ვერ შეძლო ობიექტურად და სრულად შეეფასებინა ზემდგომ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციები სრულად არ იქნა გათვალისწინებული და კონკრეტულ პირთა დანაშაულებრივი ქმედებების გამოკვეთისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე (2020 წლის თებერვლის მდგომარეობით) არ ჩატარებულა.

წინამდებარე ანგარიში პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შეფასებას ეძღვნება. ანგარიში მიმოიხილავს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და მათ შედეგად გამოვლენილ გარემოებებს. ანგარიშში ასახული იქნება ცალკე გამოყოფილი საქმეების, კონკრეტული ბრალდებულებისა და დაზარალებულების უფლებრივი მდგომარეობა. მიმოხილული იქნება სახალხო დამცველის ჩართულობა გამოძიების პროცესში, რაც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და

[9] *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე İzci v. Turkey.

[10] იხ. < https://bit.ly/3cElvRI> [ბოლოს ნანახია: 2020 წლის 7 მარტს]

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ წინადადებების გაცემაში გამოიხატებოდა. ანგარიშში ასევე მითითებული იქნება კონკრეტული საკითხები, რომელთაც გამოძიებამ მთავარი ყურადღება უნდა გაამახვილოს სამომავლოდ.

2. აქციის დაშლისას ძალის გამოყენების სამართლებრივი სტანდარტები

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში არ მიემართება აქციის დაშლის კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასებას, და ძირითადად გამოძიების მიმდინარეობის ეფექტიანობის შეფასებაზეა ორიენტირებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ზოგადი სამართლებრივი ანალიზი შეკრება-მანიფესტაციის დროს ძალის გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით, ვინაიდან თავად ამ პროცესში გამოვლინდა დანაშაულებრივი ქმედებები 20-21 ივნისს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ძალის გამოყენების წინაპირობები და გამოყენების პროცედურები, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველები, ფარგლები და პასუხისმგებელ პირთა წრე.

საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, პოლიციისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[11] იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი უნდა იყოს.[12] აკრძალულია ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.[13] კანონის თანახმად, არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი) გამოიყენება პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, მართლწესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, დატოვოს დაკავებული ტერიტორია.[14]

მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის თანახმად, შეკრება-მანიფესტაციის დროს კანონიერებისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით და რისკების გათვალისწინებით არალეტალური იარაღის (მათ შორის, არალეტალური ჭურვის) გამოყენების შესახებ ბრძანება უნდა გაიცეს ღონისძიებაში მონაწილე

[11] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[12] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[13] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
[14] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ, ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობით. ხოლო როდესაც არალეტალური იარაღის გამოყენების დაყოვნებამ შესაძლოა რეალური საფრთხე შეუქმნას პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, საკმარისია მხოლოდ ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ ბრძანების გაცემა.[15] შეკრება/მანიფესტაციის დაშლის ღონისძიებაში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის კანონიერი მითითებები და ბრძანებები[16]. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიციელის ვალდებულებას სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად პირის დაზიანების შემთხვევაში აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს,[17] ხოლო თუ სპეციალური საშუალება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გამოიყენება, ხელმძღვანელმა უნდა აცნობოს უშუალო უფროსსა და პროკურორს.[18]

ამასთან, პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[19] მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი უნდა იყოს.[20] ამასთან, აკრძალულია არალეტალური იარაღისა და არალეტალური ჭურვის გამოყენება 20 მეტრის დისტანციაზე ახლოს მყოფი პირის წინააღმდეგ, ასევე, სხეულის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და პირთა ჯგუფის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი.[21] პოლიცია ვალდებულია, განაცალკევოს კანონდამრღვევი პირები აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისაგან, რომ არ მოხდეს მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის შეწყვეტა და ცალკეულ პირთა მიერ

---

[15] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" (დამტკიცებულია 2015 წლის 30 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

[16] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[17] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი; ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1006 ბრძანებით დამტკიცებული „პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[18] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[19] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[20] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[21] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გატარდეს კანონით დადგენილი პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები.[22]

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებელია სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში კანონმდებლობის დაცვაზე, ხელმძღვანელობს დანაყოფების მიერ მოვალეობის შესრულებას, ახორციელებს სამინისტროს თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას.[23] მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.[24]

რაც შეეხება განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორს, იგი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე, წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე, ზედამხედველობას უწევს დეპარტამენტის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.[25]

საერთაშორისო აქტი, არასასიკვდილო მანეიტრალებელი ტიპის იარაღის გამოყენებისას, გარეშე პირებისთვის ზიანის მიყენების რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზანსა და ასეთი ტიპის იარაღის გამოყენების მკაცრი კონტროლის აუცილებლობაზე მიუთითებს.[26] მთავრობებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, ძალის გამოყენების ალტერნატივებზე, მათ შორის, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე, ხალხის დიდი მასების ქცევის გაგებასა და დარწმუნების მეთოდებზე, მოლაპარაკებისა და შუამავლობის წარმოებაზე, ასევე, ტექნიკურ საშუალებებზე, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით.[27] მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ზემდგომი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა იმაზე, თუ მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ

---

[22] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები და მე-3 მუხლი.

[23] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტები.

[24] იქვე. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

[25] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N30 ბრძანების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-3 პუნქტის „ა" და „ვ" ქვეპუნქტები.

[26] გაეროს ძირითადი პრინციპები მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, 1990 წლის 27 აგვისტო – 7 სექტემბერი. მე-3 პუნქტი.

[27] იქვე. მე-20 პუნქტი.

ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ გამოყენების შემთხვევების შესახებ და არ მიიღეს ზომები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასეთი შემთხვევების აღკვეთის ან მათ შესახებ შეტყობინებებისათვის.[28] ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანების შესრულება არ წარმოადგენს გამამართლებელ საბუთს, თუ მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა იცოდნენ ადამიანის სიკვდილის ან სერიოზული დასახიჩრების გამომწვევი ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თაობაზე ბრძანების აშკარა უკანონობის შესახებ და ჰქონდათ მის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა ასევე ეკისრებათ უკანონო ბრძანების გამცემ ზემდგომ თანამდებობის პირებს.[29]

ზოგადი სამართლებრივი ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია შეფასდეს თავად გამოძიების მიმდინარეობა. ანგარიშის მომდევნო თავებში წარმოდგენილი იქნება როგორც გამოძიების მიერ დადგენილი ფაქტორივი გარემოებები, ისე - ის ხარვეზები, რომელიც დააიდენტიფიცირა სახალხო დამცველის აპარატმა, რისი აღმოფხვრის მიზნითაც სახალხო დამცველმა ეტაპობრივად, 6 წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურატურას.

3. ძირითადი მიგნებები

სახალხო დამცველის აპარატი აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეს ინდივიდუალური საგამოძიებო ტექნიკა და ტაქტიკა გააჩნია, და გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები თავად საზღვრავენ აღნიშნულს საკუთარი მიხედულებისა და გამოცდილების შესაბამისად. თუმცა, აუცილებელი და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების გონივრულ ვადაში ჩაუტარებლობა არ შეიძლება გამართლდეს საგამოძიებო უწყების დისკრეციის ფარგლებით, ვინაიდან დროულობისა და ზედმიწევნითობის კომპონენტების დაუცველობამ შეიძლება გახადოს გამოძიება არაეფექტიანი. მით უფრო, რომ აღნიშნული გამოძიების დაწყების დღიდან გასულია დაახლოებით 9 თვე, რაც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს საკმარის დროდ იმისთვის, რომ გამოძიებას პასუხისმგებელ პირთა წრე, პასუხისმგებლობის ფარგლების მკაფიო კონტურები გამოეკვეთა და შეექმნა ობიექტური დამკვირვებლისთვის რწმენა, რომ გამოძიება მიმართულია სრული სურათის აღდგენისა და სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისკენ.

წინამდებარე საქმის ანალიზმა აჩვენა, რომ:

- გამოძიება ორიენტირებულია მხოლოდ ინდივიდუალურ სამართალდამცავთა დანაშაულებრივი მოქმედებების იდენტიფიცირებაზე და მათი ინდივიდუალური როლის შეფასებაზე

[28] იქვე. 24-ე პუნქტი.
[29] იქვე. 26-ე პუნქტი.

- გამოძიება არ არის მიმართული 20-21 ივნისის ღამის მოვლენების სრულ სისტემურ სამართლებრივ ანალიზზე და შესაბამისად, ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენაზე
- გამოძიება არ ცდილობს დაადგინოს/გამორიცხოს აქციის დაშლისას ადგილზე მყოფი პასუხისმგებელი თანამდებობის პირების უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის არსებობის ფაქტი
- გამოძიება არ არის კრიტიკული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების გამოკითხვისას
- არ არის დათვალიერებული გამოთხოვილი ვიდეო ჩანაწერების დიდი ნაწილი (გარდა ცალკეული ეპიზოდებისა)
- არ არის მოპოვებული სამინისტროს საშუალო რგოლის თანამდებობის პირების რაციის ჩანაწერები
- არ არის დანიშნული და ჩატარებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერების ექსპერტიზა
- არ არის მოპოვებული სამინისტროს ხელმძღვანელი პირების, მეთოფეების სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია.

4. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები

2019 წლის 22 ივნისს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის N074220619801 საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის[30] კვალიფიკაციით დაიწყო. გამოძიების მიზანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების გამოვლენა წარმოადგენდა. გამოძიების ფარგლებში სხვადასხვა სახის მოქმედებები ჩატარდა.

4.1. ვიდეო-ჩანაწერების გამოთხოვა და დათვალიერება

გამოძიების საწყის ეტაპზე დათვალიერდა მედიით გავრცელებული ვიდეოჩანაწერები, რაშიც, რიგ შემთხვევებში, მოწმეებიც მონაწილეობდნენ. დათვალიერების ოქმებში მითითებულია, რომ სპეცრაზმელთა ნაწილი მიზანმიმართულად ესროდა ჟურნალისტებს იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტებს ჰქონდათ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები და საკუთარი საქმიანობის შესახებ სიტყვიერადაც აცხადებდნენ. ოქმებში აღწერილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესვრიან მოქალაქეებს, რომლებიც არანაირ აგრესიას არ გამოხატავენ. დაზარალებული მოქალაქეების ნაწილი იდენტიფიცირებული და გამოკითულია.

[30] მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება.

პარალელურად, გამოძიებამ გამოითხოვა რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე[31] მდებარე დაწესებულებებისა[32] და კერძო ორგანიზაციების შენობებზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომლებიც 20 ივნისის 20:00 საათიდან 21 ივნისის 09:00 საათამდე პერიოდს ასახავს.

დამატებით, გამოძიებამ მოიპოვა პოლიციელთა ავტომანქანებზე დამონტაჟებული და სამხრე კამერების, დაკავებულთა მიყვანის ადგილებისა და შსს-ს ტერიტორიულ ორგანოების შენობებზე დამონტაჟებული ვიდეო კამერების ჩანაწერები. გარდა ამისა, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ტელევიზიებიდან, საინფორმაციო სააგენტოებიდან და მოქალაქეების მობილური ტელეფონებიდან.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროისთვის (2020 წლის თებერვალი), აღნიშნული ვიდეომასალის მხოლოდ ნაწილი არის დათვალიერებული, რაც გამოძიების წინსვლას მნიშვნელოვნად აფერხებს. აღნიშნული ჩანაწერები, დიდი ალბათობით, ასახავს ისეთ მოვლენებს, რომელიც მედიისა თუ მოქალაქეთა კამერებს მიღმა დარჩა. შესაბამისად, მოპოვებული ვიდეომასალის დათვალიერების შემდგომ შესაძლებელი უნდა იქნას პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალურად სრულყოფილი სურათის აღდგენა.

4.2. დოკუმენტაციის ამოღება და გამოთხოვა

გამოძიებამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ამოიღო 20-21 ივნისს გამოყენებული არალეტალური იარაღები[33] და გამოყენებული ტყვიების იდენტური ნიმუშები.[34] ასევე ამოღებულია რელევანტური დოკუმენტაცია მოქალაქეთა დაკავების შესახებ,[35] დაკავებულთა სრული სია, დამკავებელი პოლიციელების მითითებით და დაწვრილებითი დოკუმენტაცია უსაფრთხოების დაცვის გეგმისა და მასში მონაწილე სპეციალური ქვედანაყოფების შესახებ.[36]

---

[31] კოსტავასა და მელიქიშვილის გამზირი, ნიკოლაძის, ახვლედიანისა და ჭანტურიას ქუჩები.

[32] შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრის, მერიის ტრანსპორტის სამსახურის, პარლამენტის შენობაზე განთავსებული ყველა კამერის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციული შენობის;

[33] 12 მმ-კალიბრიანი „ataarms“ და „Leonardo“ მარკის თოფები, 38 მმ-კალიბრიანი „ys100“ და „antiriot gun“, მარკის თოფები, 40-მმ კალიბრიანი „antiriot gun“ მარკის თოფები.

[34] ტყვიის სულ 5 სახეობა, თითოეული 30 ერთეულის ოდენობით:

1. 12 მმ-კალიბრიანი ვაზნა non lethal defense 9 balls 12 cal sterling rubber buckshot by 70 mm;
2. 12 მმ-კალიბრიანი ვაზნა sterling by turac non lethal defense 1 balls 12 cal rubber slug 70 mm
3. 38 მმ-კალიბრიანი ვაზნა მომწვანო ფერის;
4. 38 მმ-კალიბრიანი ვაზნა, შავი ფერის მწვანე ხუფით;
5. 40 მმ-კალიბრიანი ვაზნა - გაზი.

[35] დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი პირადი დათვალიერების ოქმები, ფოტოსურათები, ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალდარღვევის ოქმები.

[36] 20-21 ივნისის შეკრება-მანიფესტაციისას უსაფრთხოების დაცვის გეგმა და დოკუმენტაცია, ჟურნალის მონაცემები, არალეტალური იარაღის კონკრეტულ პირებზე გაპიროვნების მონაცემები, გაცემული და დაბრუნებული სპეციალური საშუალებების რაოდენობის ამსახველი ჩანაწერები, აგრეთვე ინფორმაცია

დამატებით, პროკურატურამ გამოითხოვა შეკრება-მანიფესტაციების უფლების შეზღუდვისას პოლიციის მიერ სპეციალური საშულებებისა და ძალის გამოყენების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. დაშავებული პირების სამედიცინო დოკუმენტაცია, აგრეთვე აღნიშნულ პირთა სხეულიდან ამოღებული ტყვიები და ტანსაცმელი გამოთხოვილ იქნა შესაბამისი კლინიკებიდან. დაზიანებული ტანსაცმელი ამოღებულ იქნა რამდენიმე მოქალაქისგანაც.

გარდა ამისა, გამოთხოვილია ინფორმაცია 20-21 ივნისს მომუშავე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების თაობაზე. მედია-საშუალებებიდან გამოთხოვილია ინფორმაცია აქციაზე მომუშავე პირების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სახალხო დამცველის აპარატიდან გამოძიებამ მიიღო ყველა სახის ინფორმაცია, რაც მოპოვებულია აქციების მიმდინარეობისას დაკვირვების პროცესში.

ივლისში გამოძიებამ მიმართა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს იმის გასაგებად, ასრულებდნენ თუ არა 20-21 ივნისს მათი დანაყოფები სამსახურებრივ მოვალეობას. აღნიშნული დაადასტურა სახელწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და ფინანსთან სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თუმცა, მათ ღონისძიებების დაგეგმვასა და აქციის დაშლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ უწყებების თანამშრომლებმა გამოკითხვის დროს მიუთითეს მათი კონკრეტული ფუნქციების შესახებ, რაზეც გამოკითხვების ქვეთავში იქნება დეტალური საუბარი.

4.3. გამოკითხვა

გამოძიების პროცესში გამოიკითხა 625 პირი,[37] მათ შორის - აქციის მონაწილეები, ჟურნალისტები, კლინიკების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სამართალდამცავები. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთაგან გამოიკითხა როგორც მენეჯმენტის რგოლი,[38] ისე - რიგითი პოლიციელები. გამოიკითხნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებიც. ერთი პირი დაკითხულია სასამართლოში.

4.3.1. მოქალაქეთა გამოკითხვები

გამოძიების საწყის ეტაპზე[39] გამოკითხულ მოქალაქეთა უმეტესობას დაზიანებები ჰქონდა მიღებული. მათი ნაწილი აცხადებდა, რომ სპეცდანიშნულების რაზმის

ღონისძიებაში მონაწილე დანაყოფების პირადი შემადგენლობის, იდენტიფიცირებული საპატრულო ეკიპაჟის წევრებისა და რუსთაველის გამზირზე მყოფი შსს ქვედანაყოფების ეკიპირების შესახებ.

[37] 2020 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით.

[38] მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის დირექტორები, საპატრულო პოლიციისა და სხვა ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელი პირები.

[39] 2020 წლის ივნისი-ივლისის პერიოდი.

წევრებმა დამიზნებით ესროლეს რეზინის ტყვიები, მათ შორის, სახის არეშიც. მოქალაქეებს კონკრეტულ სპეცრაზმელთა ამოცნობა არ შეეძლოთ, რადგან მათ ეხურათ ჩაფხუტები, ეკეთათ ნიღბები და არ გააჩნდათ რაიმე საიდენტიფიკაციო ნიშანი. ანალოგიურ გარემოებებზე მიუთითებდნენ გამოკითხული ჟურნალისტებიც.

გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებდა, რომ მათ რაიმე კანონდარღვევა არ ჩაუდენიათ. არაერთი მოქალაქე უთითებდა, რომ ამის მიუხედავად, პარლამენტის წინ, პოლიციის კორდონის უკან განლაგებული სპეცრაზმელები მათ მაინც დამიზნებით ესროდნენ. საგულისხმოა, რომ გამოკითხულ პირთა ნაწილს დაზიანებები აქვთ სხეულის უკანა მხარეს. ამასთან, ცრემლსადენი გაზის გაშვების შედეგად მოწამლული ერთ-ერთი პირი არასრულწლოვანი იყო.

ერთ-ერთმა პირმა განაცხადა, რომ იგი დააკავეს პოლიციის კორდონის წინ და შეიყვანეს პარლამენტის ეზოში, სადაც დაახლოებით 40 მეტრი გაატარეს, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლები სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. პირის განცხადებით, ერთმა პოლიციელმა უკანა მხრიდან დაარტყა წიხლი, რის შედეგადაც ნეკნი გაებზარა.[40]

ივლისსა და აგვისტოში გამოკითხული მოქალაქეების უმრავლესობა მიუთითებდა, რომ აქციის დაშლამდე დატოვა ტერიტორია. რამდენიმე გამოკითხული მიუთითებდა რეზინის ტყვიებით დაზიანებების მიღებაზე, მათ შორის, თავისა და თვალის არეში. გამოკითხულები ვერ მიუთითებენ სავარაუდო მსროლელების შესახებ. ასევე აცხადებდნენ უკანონო დაკავებისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებზე.

4.3.2. შსს-ს ქვედა რგოლის თანამშრომელთა ჩვენებები

2020 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან გამოძიებამ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა (გდდ) და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი სხვა სამართალდამცავების გამოკითხვა დაიწყო.

- გდდ-ის სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეები

20-21 ივნისის აქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყოფილ პირთა დაკითხვის ოქმების მიხედვით, მათი დიდი ნაწილი სამხედრო სავალდებულო მოსამსახურე იყო. ისინი აღჭურვილი იყვნენ ე.წ. რობოკოპებით და პასიური თავდაცვის იარაღებით (მაგ. ფარი), თუმცა არ გააჩნდათ აქტიური სპეც-საშუალებები (მაგ. არალეტალური იარაღი) და რაცია. მათ განმარტეს, რომ მათ 20-21 ივნისს მიღებული ჰქონდათ ბრძანება, ცოცხალი ჯაჭვით დაეცვათ პარლამენტის პერიმეტრი და არ დაეშვათ მასში მოქალაქეების შეჭრა. მათ ჩაანაცვლეს პარლამენტის შესასვლელთან მდგარი კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.

[40] აღნიშნული ეპიზოდი საქმიდან ცალკე გამოიყო. საქმის დეტალების შესახებ იხ. ქვემოთ.

გამოკითხულები უთითებდნენ, რომ აქციის მონაწილეთა ნაწილი იქცეოდა აგრესიულად, ფიზიკური ძალით აწვებოდნენ ცოცხალ ჯაჭვში მდგომ თანამშრომლებს, ესროდნენ ქვებს, ბოთლებსა და სხვა საგნებს, რამდენიმე მათგანს წაართვეს ფარი, ჩაფხუტი, „რობოკოპის" ნაწილი, გამოიყვანეს მწყობრიდან და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ისინი უთითებენ, რომ ასეთი აგრესიული ქცევა გრძელდებოდა დაახლოებით 2 საათის განმავლობაში, თუმცა, აგრესიულ მოქალაქეთა დაკავების ბრძანება არ მიუღიათ.

გამოკითხულებმა განმარტეს, რომ პოლიციის დანაყოფებმა აგრესიული მოქალაქეების მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენება[41] დაიწყეს მას შემდეგ, რაც მოქალაქეების მიძალებას/მიწოლას ცოცხალი ჯაჭვი ვეღარ უძლებდა და ისინი პარლამენტის შესასვლელს დაახლოებით 3 მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ. მათი ჩვენებით, თანამშრომელთა ნაწილმა მოქალაქეთა აგრესიის შედეგად მიიღო გარკვეული დაზიანებები, თუმცა სამედიცინო დახმარება არ მიუღიათ, გარდა რამდენიმე მათგანისთვის ადგილზე სასწრაფო დახმარების მიერ აღმოჩენილი დახმარებისა, ერთი მათგანი კი კლინიკაში გადაიყვანეს.

- გდდ-ის მეთოფეები

გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეთოფეები - თანამშრომლები, რომლებიც 20-21 ივნისს ცრემლსადენი გაზის ან/და რეზინის ტყვიებს ისროდნენ მომიტინგეების დაშლის მიზნით.

ის პირები, ვინც 2019 წლის 20-21 ივნისს თოფები გამოიყენეს, განმარტავენ, რომ ცრემლსადენი აირის ჭურვების გასროლაზე მეთოფეებმა ბრძანება მიიღეს, ხოლო არალეტალური ჭურვები გამოიყენეს მხოლოდ საკუთარი შეხედულების მიხედვით, ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ბრძანების გარეშე. თანამშრომლები უთითებენ, რომ არალეტალურ იარაღს იყენებდნენ სიტუაციის მიხედვით, რადგან თავიდანვე ჰქონდათ მიღებული ზოგადი ნებართვა, რომ მზად ყოფილიყვნენ ყველა სიტუაციისთვის. გარდა ამისა, მათ მიუთითეს, რომ არალეტალური ჭურვების გამოყენების დროს მათი მეთაურებიც იქვე იყვნენ, თუმცა, მათთვის არ მიუციათ ბრძანება შეეწყვიტათ რეზინის ტყვიების გამოყენება. ჩვენებები ფაქტობრივად იდენტური ინფორმაციის შემცველი იყო ამ მიმართებით.

გამოკითხული პირები თავდაპირველად არ უთითებდნენ და არც გამოძიება ეკითხებოდა, კონკრეტულად რომელ საკანონმდებლო ნორმებს გულისხმობდნენ ისინი, ან იცნობდნენ თუ არა სპეციალური საშუალებების გამოყენების პროცედურას შინაარსობრივად. ნაწილი მათგანის მეორედ გამოკითხვისას (სახალხო დამცველის წინადადების შემდეგ) კი გამოძიებას განუმარტეს, რომ მათ სპეციალური

[41] მათ შორის, წიწაკის გაზის, ცრემლსადენი გაზისა და არალეტალური რეზინის ტყვიების.

საშუალებები გამოიყენებს კანონმდებლობის შესაბამისად, „პოლიციის შესახებ“ კანონისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების დანაწესის შესაბამისად.

გამოკითხული სამმართველოების უფროსების თქმით, რაციით გავრცელდა დეპარტამენტის უფროსის ბრძანება მეთოფეებს აეღოთ აღჭურვილობა, მათ შორის, თოფებიც. გაზის გამოყენების შესახებ ბრძანება გასცა დეპარტამენტის დირექტორმა, ხოლო რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება გაცემული არ ყოფილა და თანამშრომლებმა ინდივიდუალურად გამოიყენეს სიტუაციის შესაბამისად.

- გდდ-ის სხვა თანამშრომლები

დეპარტამენტის თანამშრომლების ჩვენებების თანახმად, ისინი იდგნენ პოლიციის კორდონში და პარლამენტის შენობას დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იცავდნენ აგრესიული მომიტინგეების შეჭრისგან. ისინი განმარტავდნენ, რომ ჰქონდათ ბრძანება არ გამოეყენებინათ აქტიური სპეციალური საშუალებები მომიტინგეების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეები მათ აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ართმევდნენ სპეციალურ აღჭურვილობას, იტაცებდნენ ცოცხალი ჯაჭვიდან და სცემდნენ. ისინი უთითებენ, რომ არ გამოუყენებიათ ფიზიკური ძალა აგრესიული მომიტინგეების მიმართ, არ დაუკავებიათ მომიტინგეები და მხოლოდ ფიზიკურად, მიწოლით არ აძლევდნენ პარლამენტის შენობაში შესვლის შესაძლებლობას.

დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელი თანამდებობის პირებმა განმარტეს, რომ მათ პირად შემადგენლობას დავალებაზე გასვლამდე და შემდეგ ადგილზე ჩაუტარეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი. მათი ნაწილი დეტალურად აღნიშნავს ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძვლების და წესების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

რეზინის ჭურვების გამოყენებას თითქმის ყველა ხელმძღვანელი პირი ცალკე გამოყოფს. ისინი უთითებენ, რომ რეზინის ტყვიების გამოყენება იმწუთიერი საფრთხის არსებობისას ხდებოდა, კონკრეტული პოლიციელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მის მიერვე გარემოებების შეფასების საფუძველზე და აღნიშნულის უფლებამოსილებას პოლიციელს აძლევს კანონმდებლობა და ჩატარებული სწავლება. ამასთან, პირადი შემადგენლობა მზად უნდა ყოფილიყო კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებისთვის და „ზოგადი ნებართვა“ მიღებული ჰქონდათ, რისთვისაც გადაცემული ჰქონდათ შესაბამისი თოფები და რეზინის ვაზნები.

არც ერთი გამოკითხული პირი არ აღნიშნავს, რომ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია პოლიციელს ავალდებულებს, რომ რეზინის ჭურვები ხელმძღვანელის ნებართვით გამოიყენოს.

დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოებისა და სამმართველოების განყოფილების უფროსების თქმით, გაზის გასროლაზე იყო ბრძანება, ხოლო რეზინის ტყვიების გამოყენებაზე - არა. მათი ჩვენებების თანახმად, 23:30 საათისთვის აგრესიული მოქალაქეების შეკავება შეუძლებელი გახდა და გაზის თოფით აღჭურვილმა მეთოფეებმა ხელმძღვანელობისგან მიიღეს გაზის ჭურვის გამოყენების მითითება. რაც შეეხება რეზინის ტყვიებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამოიყენეს.

- სხვა ტერიტორიული/სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები

გამოიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის რამდენიმე თანამშრომელი, რომელთა თქმით, აქციაზე იმყოფებოდნენ პოლიციელების მხრიდან სამართალდარღვევის გამოვლენისა და რეაგირების მიზნით და მიიღეს დაზიანებები, რის გამოც გადაიყვანეს კლინიკაში. ისინი არ შესწრებიან რეზინის ტყვიების სროლას, რადგან გადაადგილდებოდნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე და პოლიციელების ქმედებებს აკვირდებოდნენ აქციის მშვიდობიანი მიმდინარეობის პერიოდში. ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, რომ როდესაც პოლიციელები პარლამენტის შენობას სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იცავდნენ და მოქალაქეების მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, იგი მოქალაქეებს მოუწოდებდა სიმშვიდისკენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა[42] და სტრუქტურული ერთეულების[43] თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების ჩვენებებით, 20 ივნისს, დაახლოებით, 13:00 საათის შემდეგ მიიღეს დავალება თანამშრომლებთან ერთად გასულიყვნენ საქართველოს პარლამენტის შენობასთან, დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, არ დაეშვათ შენობაში მოქალაქეების შესვლა. მათი ჩვენებით, თანამშრომლები განლაგდნენ პარლამენტის შენობის შესასვლელ კარებთან. ყველა პოლიციელს ეცვა ფორმა, არ ჰქონდათ სპეციალური საშუალებები. აქციის მონაწილეთა მხრიდან აგრესიული ქმედებების დაწყების შემდეგ, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა მონაწილეთა შეკავება, ისინი ჩაანაცვლეს გდდ-ის თანამშრომლებმა, ხოლო კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მათ უკან მწკრივში განლაგდნენ.

გამოკითხული პოლიციელების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ცრემლსადენი გაზის ჭურვის გასროლის შემდეგ, აირწინაღების არქონის გამო, გადაინაცვლეს პარლამენტის ეზოში და რეზინის ტყვიების გამოყენებას არ შესწრებიან. მათი თქმით, პარლამენტის შენობის ეზოდან რუსთაველის გამზირზე გავიდნენ 01:30-02:00 საათამდე პერიოდში, როცა ე. წ. კოლოფი იკვრებოდა გდდ-ს თანამშრომლების მიერ. ჩვენებების მიხედვით,

[42] თბილისის პოლიციისა და რეგიონების დეპარტამენტი და სამმართველოები.
[43] საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

ძალადობა პოლიციელების მხრიდან მოქალაქეების მიმართ არ უნახავთ, ფიზიკურ კონტაქტში პოლიციელები შედიოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო იყო აგრესიული პირის დაკავება და მხოლოდ პროპორციულ ძალას იყენებდნენ.

გამოკითხულები განმარტავენ, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების დაკავება არ მომხდარა. მათი ჩვენებით, მოქალაქეთა დაზიანებაზე ბრძანება/ნებართვა არც ხელმძღვანელი პირებისგან მიუღიათ და არც მათ გაუციათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის. გამოკითხვის მიხედვით, საპატრულო პოლიციამ დააკავა 151 პირი, რომელთა ნაწილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთეულებმა ამოიცნეს ვიდეო ჩანაწერებში საკუთარი თავი. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჩვენებით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 65 პირი, პოლიცია ძირითადად იგერიებდა და უმკლავდებოდა აგრესიულ პირებს, უკანონო ბრძანება არავის გაუცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების (ხელმძღვანელებიც) თქმით, რეზინის ტყვიის გამოყენებაზე არც მინისტრის და არც მოადგილის ბრძანება არ გაუგიათ, რეზინის ტყვიის გამოყენების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა და ამას განსაკუთრებული ბრძანება ან მითითება არ სჭირდებოდა.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების თანახმად, „რობოკოპის" ფორმით აღჭურვილი თანამშრომლები იდგნენ ცოცხალ ჯაჭვში, არალეტალური იარაღი მათ თან არ ჰქონიათ და არ გამოუყენებიათ, ასევე არ ყოფილან ე.წ. „კოლოფში".

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსისა და თანამშრომლების თქმით, ისინი აქციაზე იმყოფებოდნენ, თუმცა მის დაშლაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მხოლოდ 2 დაკავებულის იზოლატორში გადაყვანაში დაეხმარნენ პოლიციას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ჩვენებებით, ადგილზე იმყოფებოდნენ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, თუმცა აქციის დაშლაში, ან მოქალაქეთა დაკავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სდსს) თანამშრომლების განმარტებით, სამსახურის ერთ-ერთ განყოფილებას ევალება პარლამენტის შენობის დაცვა. სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და ინფორმაციას აწვდიდნენ ხელმძღვანელობას. გამოკითხულ პირებს არ აქვთ ინფორმაცია, თუ როგორ ხდებოდა

კოორდინაცია შსს-სთან, რადგან ისინი მითითებებს სამსახურის ხელმძღვანელისგან იღებდნენ.

სდსს-ის თანამშრომლები თავდაპირველ ეტაპზე იყვნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც გდდ-ის თანამშრომლები განლაგდნენ პარლამენტის წინ, გამოკითხული პირები პარლამენტის შენობაში ან ეზოში იმყოფებდნენ. მათი ჩვენებით, სამსახურს არ აქვს არალეტალური იარაღი, რობოკოპის აღჭურვილობა და არც აქციაზე არ ჰქონიათ. აქციის დაშლაში მონაწილეობა მათ არ მიუღიათ და ასევე, არავინ დაუკავებიათ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პირი მიუთითებს, რომ საკუთარი ინიციატივით, გამოძახების გარეშე მივიდა პარლამენტთან და დილამდე შენობის ეზოში იმყოფებოდა.

4.3.3. შსს-ს ზედა რგოლის ჩვენებები

გამოძიების ფარგლებში გამოიკითხნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია და მისი მოადგილეები: კახაბერ საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე. მოგვიანებით (სახალხო დამცველის წინადადების შემდეგ) დაიკითხა მინისტრის მოადგილე ლევან კაკავა.

ჩვენებებში მინისტრი და მინისტრის მოადგილეები (კახაბერ საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე) განმარტავენ, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციაზე შესაძლო რისკების გათვალისწინებისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით, მინისტრმა მოადგილეების - კახაბერ საბანაძის, ვლადიმერ ბორცვაძისა და ლევან კაკავას თანხმობით, დაამტკიცა „პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების გეგმა", რომელსაც მიენიჭა გრიფი „საიდუმლო".

ჩვენებების თანახმად, გიორგი გახარია, კახაბერ საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე 2019 წლის 20 ივნისის 22 საათიდან იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის სასახლეში, არსებული ვითარების ადგილზე გაცნობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მათი ჩვენებების თანახმად, პარლამენტის შესასვლელთან განთავსებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ აქციის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მხრიდან, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს.

მათი ჩვენებების თანახმად, პოლიცია ორი საათის განმავლობაში მხოლოდ პასიური საშუალებებით იცავდა პარლამენტის შენობას და საკუთარ უსაფრთხოებას. აქტიური საშუალებების გამოყენება დაიწყო დაახლოებთ 00:00 საათისთვის. მინისტრი და მისი მოადგილეები უთითებენ, რომ ცრემლსადენი გაზის ჭურვებისა და წყლის ჭავლის გამოყენება მოხდა მათი ბრძანებით, ხოლო რეზინის ტყვიების გამოყენებაზე ბრძანება არ გაუცია.

აღნიშნული პირების, ასევე ლევან კაკავას ჩვენებით, ღონისძიების საერთო ხელმძღვანელად განისაზღვრა კახაბერ საბანაძე, ხოლო პასუხიმგებელ პირებად მინისტრის მოადგილეები საკურატორო სფეროების მიხევდით. ლევან კაკავას საკურატორო სფეროში შემავალი სამსახურების - დაცვის პოლიციისა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის - ღონისძიებისთვის მობილიზებული თანამშრომლები სამართავად გადაეცათ უშუალოდ ველზე მყოფ მოადგილეებს - კახაბერ საბანაძესა და ვლადიმერ ბორცვაძეს, ხოლო მან ლოჯისტიკური მიმართულება ჩაიბარა.

ლევან კაკავას ჩვენებით, საკუთარი მიმართულების უზრუნველყოფისთვის, 20-21 ივნისს იმყოფებოდა სამსახურში, გულუას ქუჩაზე და განვითარებულ მოვლენებს თვალს ტელევიზიების საშუალებით ადევნებდა. შესაბამისად, იგი დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს ღონისძიების დაწყების, მიმდინარეობისა და დასრულების შესახებ. როგორც მისთვის ცნობილია, რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებით, კონკრეტული ბრძანება სამინისტროს ხელმძღვანელი პირების მიერ არ გაცემულა, თუმცა სამართალდამცავებს მისი გამოყენების უფლება ჰქონდათ და მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ) დირექტორის,[44] ჩვენების თანახმად, 20 ივნისს პარლამენტთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მას დაევალა. იგი უთითებს გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალური საშუალებების, მათ შორის გაზისა და რეზინის ჭურვების გამოყენებას. იგი უთითებს, რომ მოადგილეებს მისცა შესაბამისი დავალებები და ასევე მიუთითა დაქვემდებარებულებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ. ინსტრუქტაჟი ითვალისწინებდა, რომ თანამშრომლები მზად უნდა ყოფილიყვნენ ყველა სახის სიტუაციაში მოქმედებისთვის და სრულად ყოფილიყვნენ აღჭურვილი პასიური და აქტიური სპეციალური საშუალებებით.

გდდ-ს დირექტორი უთითებს, რომ პარლამენტის შენობასთან პირადად მივიდა დაახლოებით 16:00 საათზე და დანაყოფების მეთაურებს ჩაუტარა თათბირი. სპეციალური აღჭურვილობით, *თოფების* გარდა, ცოცხალ ჯაჭვში პოლიციელების ჩაყენების მითითება მიიღო კახაბერ საბანაძისგან. მისი ცნობით, ამ დროისთვის თოფები მანქანებში, მეთვალყურეობის ქვეშ იყო, და მათი გამოყენება შეიძლება მოეხდინათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

მისი ჩვენებით, თავად და ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ ცოცხალი ჯაჭვის სიახლოვეს. იგი თანამშრომლებს მითითებებს აძლევდა როგორც რაციით, ასევე პირადად. ამ პერიოდში ინფორმაციას იღებდა საველე მეთაურებისგან, ასევე თავად

[44] 20-21 ივნისის მდგომარეობით.

პირადად გავიდა ადგილზე, საიდანაც რაციით ეთათბირებოდა ხელმძღვანელობას. იგი არ უთითებს, თუ ვის და რაზე შეუთანხმდა აღნიშნული თათბირების დროს.

გდდ-ს დირექტორი უთითებს, რომ რამდენჯერმე მინისტრის მოადგილეებიც გავიდნენ ველზე და ადგილზე გაეცნენ სიტუაციას. იგი უთითებს, რომ 23:30 საათზე, როცა პოლიციელების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას დაემუქრა საფრთხე, მან რაციით გადასცა ინფორმაცია მოადგილეებს და მინისტრის თანხმობით მიიღო გაზის გამოყენების ბრძანება. მან ბრძანება ჩაშალა თავის დაქვემდებარებულ მეთაურებზე და გასცა ბრძანება, მეთოფეებს აეღოთ თოფები და დაეწყოთ გაზის გასროლა.

იგი უთითებს, რომ შეიტყო, რომ ზოგმა მეთოფემ საკუთარი ინიციატივით გამოიყენა რეზინის ჭურვები, მაგრამ არ ახსოვს თუ ვისგან გაიგო ეს ინფორმაცია. უთითებს, რომ რეზინის ჭურვების გამოყენებაზე ბრძანება არ გაუცია. პირადად რეზინის ჭურვების გასროლას არ შესწრებია, თუმცა ხელმძღვანელობას აცნობა, რომ მეთოფეებმა რეზინის ჭურვები ისროლეს კანონის შესაბამისად, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. იგი აცხადებს, რომ რეზინის ჭურვების გამოყენების შესახებ მალევე აცნობა მინისტრს და მოადგილეებს, თუმცა პირადად გადასცა ეს ინფორმაცია ხელმძღვანელებს თუ რაციით, ასევე არ ახსოვს.

4.4. ექსპერტიზები

2 ივლისს დაინიშნა 273 პირის სასამართლო-სამედიცნო ექსპერტიზა ჯანმრთელობის ხარისხის დაზიანების, ლოკალიზაციის, წარმოშობის მექანიზმის განსაზღვრის მიზნით, ასევე, იარაღიდან გასროლით მიყენების შემთხვევაში - სროლის მანძილისა და მიმართულების დადგენის მიზნით.

2019 წლის სექტემბრის შემდგომ (2020 წლის 3 თებერვლის მონაცემებით) მიღებულია 45 მოქალაქის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელთა მიხედვით, უმრავლესობა მათგანის დაზიანებები მსუბუქი ხარისხისაა. დასკვნების თანახმად, ფიქსირდება დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში, მათ შორის, თავსა და სახეზე, ასევე, თავის ტვინის შერყევის, ცხვირის მოტეხილობის დიაგნოზები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ქალას და სახის ძვლების მოტეხილობა, შუბლის ძვლის მოტეხილობა. მიღებული დასკვნების თანახმად, 2 პირს დაუდგინდა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისთვის სახიფათო ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება.

სექტემბრის თვეში გამოძიებას გადაეცა მოქალაქეთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. 3 მათგანს დაუდგინდა ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, 14 პირს - მსუბუქი ხარისხი, 2 პირზე ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი მითითებული არ არის.

2 სექტემბერს გაცემული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2019 წლის 20-21 ივნისს გამოყენებული არალეტალური იარაღის ტყვიების იდენტური ნიმუშების

ვაზნები დამზადებულია სინთეზური გზით მიღებული რეზინისგან, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავს დამარბილებლებს (პლასტიფიკატორებს). დამარბილებლების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება ბიუროს მონაცემთა ბაზებში შესაბამისი სტანდარტული ნიმუშის არქონის გამო.

14 აგვისტოს დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა და ექსპერტს გამოსაკვლევად გაეგზავნა 48 პირის სხეულიდან ამოღებული უცხო სხეულები, არალეტალური იარაღები, ასევე, 20-21 ივნისს გამოყენებული ტყვიების იდენტური ნიმუშები, რუსთაველის გამზირიდან ამოღებული ტყვიების მასრები და ჭურვები.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე, შსს-დან ამოღებულ იქნა ყველა ის იარაღი, რომლითაც სარგებლობდნენ სამინისტროს თანამშრომლები 2019 წლის 20-21 ივნისის რუსთაველის გამზირზე, ასევე 20-21 ივნისს გამოყენებული ვაზნების იდენტური ნიმუშები.

ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არცერთ ვაზნას არ აღენიშნებოდა გადაკეთების კვალი. ამოღებული იარაღები არის 12 მმ კალიბრიანი, 38 მმ კალიბრიანი და 40 მმ კალიბრიანი ტრავმული დანიშნულების ცეცხლსასროლი, გლუვლულიანი არალეტალური შეზღუდული დამაზიანებელი მოქმედების სპეციალური საპოლიციო იარაღი.

გასროლის შემდეგ, გატყორცნილი ჭურვების გაიგივება კონკრეტულად რომელიმე მასრასთან შეუძლებელია, მათზე საიდენტიფიკაციო კვალთა აუსახაობის გამო. ნარინჯისფერი რეზინის ტყვიის ზუსტი დამიზნებით სროლის ეფექტური მანძილია დაახლოებით 5 მეტრი. მანძილის ზრდასთან ერთად იზრდება სამიზნეზე მოხვედრის ცდომილება. საფანტის ჭურვებთან მიმართებით მანძილის ზრდასთან ერთად იზრდება მათი განშლის რადიუსიც.

4.5. რეზინის ტყვიების გამოყენება

მინისტრი, მისი მოადგილეები და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი ჩვენებაში უთითებენ, რომ საიდუმლო გეგმა ითვალისწინებდა მათ შორის, გაზის ჭურვებისა და რეზინის ტყვიების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, დეპარტამენტის დირექტორმა, სამინისტროს ხელმძღვანელობის მითითების შესაბამისად, დანაყოფების მეთაურებს პირადი შემადგენლობისთვის შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარების მითითება მისცა.

სამინისტროს ხელმძღვანელი პირების ჩვენების თანახმად, მინისტრი და მისი ორი მოადგილე 20 ივნისის 22 საათიდან საქართველოს პარლამენტის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მინისტრის ჩვენებით, მისი მოადგილეები - კახაბერ საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე - ღონისძიებას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ, თავად კი პარლამენტის შენობაში იმყოფებოდა და მოადგილეებთან ერთად იღებდა ისეთ

გადაწყვეტილებებს, როგორიც იყო აქციის დასაშლელად წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი აირის გამოყენება. გარდა ამისა, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან პირდაპირ კავშირზე იმყოფებოდა და კომუნიკაციას ამყარებდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი.

მინისტრისა და მისი ზემოხსენებული მოადგილეების ჩვენებების თანახმად, აქტიური საშუალებების გამოყენება პოლიციამ დაახლოებით 00:00 საათისთვის დაიწყო. ისინი უთითებენ, რომ ცრემლსადენი გაზის ჭურვებისა და წყლის ჭავლის გამოყენება მათი ბრძანებითა და თანხმობით მოხდა, თუმცა რეზინის ტყვიების გამოყენებაზე ბრძანება არ გაუციათ.[45] მინისტრის ჩვენების თანახმად, ცრემლსადენი აირის გამოყენების შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიციელებმა აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენეს რეზინის ტყვიები და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე წუთში მიიღო.

სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია რაციის ჩანაწერები და მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ რეზინის ტყვიების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. რაცია წარმოადგენს ნეიტრალურ მტკიცებულებას და მისი სანდოობის ხარისხი მაღალია. წინამდებარე წინადადება ეყრდნობა რაციის იმ ჩანაწერებს, რომლებიც წარედგინა სახალხო დამცველის მოადგილეს საქართველოს პროკურატურაში. N074220619801 საქმის ფარგლებში რაციის შინაარსის ავთენტურობის და მისი შეცვლის/მოდიფიცირების ეჭვის გამორიცხვის მიზნით, 2019 წლის 24 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას ექსპერტიზის ჩატარების წინადადებით. ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება რაციის ჩანაწერების საქმეში არსებულ ვერსიას და სამომავლოდ მათი ავთენტურობის პრობლემურობის შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებებიც შეიძლება შეიცვალოს შესაბამისად.

სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერების შესწავლიდან ირკვევა, რომ მინისტრს ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის აქციის დაშლის მიმდინარეობისას რეზინის ტყვიების გამოყენების ნებართვა არ გაუციათ. რაციების ჩანაწერიდან და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მინისტრის თანხმობით, მინისტრის მოადგილეებისაგან მიიღო *მხოლოდ* ცრემლსადენი აირის გამოყენების ბრძანება, რაც მან ჩაშალა მის დაქვემდებარებულ პირებზე, გასცა თოფების აღებისა და აირის ჭურვის გასროლის ბრძანება.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი უთითებს, რომ აქციის დაშლისას გადაადგილდებოდა ველზე და ინფორმაციას იღებდა როგორც რაციით,

[45] აღსანიშნავია, რომ რაციის ჩანაწერებში ფიქსირდება წყვეტები. აღნიშნულისმიზეზისა თუ სავარაუდო მონტაჟის კვალის აღმოჩენის მიზნით ექსპერტიზა ჩანაწერებზე არ ჩატარებულა.

ასევე პირადად. მისი ჩვენების თანახმად, მას რაციის მეშვეობით მიაწოდეს ინფორმაცია კონკრეტული პოლიციელების მიერ რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ. იგი უთითებს, რომ აღნიშნულის თაობაზე მალევე აცნობა მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს.

საგულისხმოა, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის მიერ ხელმძღვანელობისთვის რაციის საშუალებით რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მიერ ამოღებული რაციების ჩანაწერებით არ დასტურდება. რაციების ჩანაწერებით დასტურდება მხოლოდ ის, რომ მინისტრმა აქციის დაშლის პერიოდში რეზინის ტყვიების გამოყენების ნებართვა არ გასცა.

კერძოდ, რაციების ჩანაწერების მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრმა 20 ივნისის 23:36 წუთზე უბრძანა მის მოადგილეებსა და სხვა დაქვემდებარებულ პირებს (მათ შორის, გდდ-ს დირექტორს), რომ აქციის დაშლისას გამოყენებული არ ყოფილიყო რეზინის ტყვიები. აღნიშნულის საპირისპიროდ, ტელეკომპანიების მიერ გადაღებული კადრები უთითებს, რომ რეზინის ტყვიების გასროლა მალევე, 00:00 საათის დადგომისას დაიწყო.[46] მიუხედავად ამისა, 21 ივნისის 00:16 წუთზე გდდ-ს დირექტორმა ხელმძღვანელობას მოახსენა, რომ თოფებს არ იყენებენ.

რაციის ჩანაწერების მიხედვით, რეზინის ტყვიების არგამოყენებასთან დაკავშირებით ბრძანება გამეორდა 00:36 საათზეც, რომელიც კვლავ არ შესრულებულა.[47] 02:34 საათზე გდდ-ს დირექტორმა რეზინის ტყვიების გასასროლად დამატებითი ნებართვა ითხოვა. აღნიშნულ მოთხოვნაზე კურატორი ხელმძღვანელისგან - კახაბერ საბანაძისგან - უარი მიიღო, რომლის მიღებაც დაადასტურა. აღნიშნულის მიუხედავად, ტელეკომპანიების ჩანაწერიდან იკვეთება, რომ მალევე კვლავ გაგრძელდა რეზინის ტყვიების ხშირი სროლა.[48]

---

[46] საზოგადოებრივი მაუწყებლის უწყვეტი პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში ასახულია, რომ 00:03-00:05 საათებში ისმის სროლის ხმა, ხოლო 00:07 საათზე კადრში ჩნდება რეზინის ტყვიით დაშავებული თ. მ. რეზინის ტყვიების სროლა 00:13 საათამდე გაგრძელდა. იხ: <https://bit.ly/2vHLKWB>. ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში, რომელიც იწყება 2019 წლის 20 ივნისს, 23:10 საათზე და გრძელდება 1 საათი და 44 წუთი, ასახულია, რომ 00:07-00:11 საათის განმავლობაში მიმდინარეობს რეზინის ტყვიების გამოყენება, რაც შემდგომში გრძელდება. იხ: <http://rustavi2.ge/ka/video/44038?v=2>. [ყველა ბმული ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

[47] საზოგადოებრივი მაუწყებლის უწყვეტი პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში ასახულია, რომ რეზინის ტყვიების სროლა მიმდინარეობს 00:23-00:26, 00:39-00:50, 00:54-00:58 და 01:00 - 01:02 საათების განმავლობაში. რეზინის ტყვიების სროლა ფიქსირდება ასევე, 01:04, 01:23, 01:27- 01:45, 01:48-01:56, 02:01, 02:17, 02:24, 02:28, 02:34, 02:58 საათებზე. იხ: <https://bit.ly/2Isa3KI>. ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში, რომელიც იწყება 2019 წლის 20 ივნისს, 23:10 საათზე და გრძელდება 1 საათი და 44 წუთი, ასახულია რეზინის ტყვიების გასროლები 00:22, 00:41,, 00:47-00:49 საათებში იხ: <http://rustavi2.ge/ka/video/44038?v=2>. [ყველა ბმული ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

[48] საზოგადოებრივი მაუწყებლის უწყვეტი პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში ასახულია რეზინის ტყვიების გამოყენება რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა მონაკვეთზე: 03:05, 03:15, 03:21, 03:23, 03:29, 03:32,

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოების ხელმძღვანელების ჩვენებების მიხედვით, რაციით გავრცელდა დეპარტამენტის უფროსის ბრძანება, რომ მეთოფეებს აეღოთ არალეტალური თოფები და გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი, ხოლო რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება არ გაცემულა და თანამშრომლებმა ინდივიდუალურად გამოიყენეს სიტუაციის შესაბამისად. დეპარტამენტის მეთოფეები ასევე ადასტურებენ, რომ მათ ბრძანება მიიღეს მხოლოდ ცრემლსადენი აირის ჭურვების გასროლაზე, ხოლო რეზინის ტყვიები ინდივიდუალურად, საკუთარი შეხედულების მიხედვით, ხელმძღვანელობის ბრძანების გარეშე გამოიყენეს.

მეთოფეები ასევე აღნიშნავენ, რომ არალეტალური ჭურვების გამოყენების დროს იქვე მყოფი მეთაურები აფასებდნენ სიტუაციას, თუმცა, მათთვის რეზინის ტყვიების გამოყენების ან გამოყენების შეწყვეტის მითითება არ გაუციათ. საქმის მასალებით ასევე არ იკვეთება, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა გადაწყვეტილება მიიღო ან ღონისძიება გაატარა მის დაქვემდებარებაში მყოფი მეთოფეების მხრიდან არამართლზომიერი ქმედებების შეწყვეტის/აღკვეთის მიზნით.

გამოკითხული პოლიციელების ჩვენებების თანახმად, 20 ივნისს პარლამენტის შენობის წინ რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიანად მიმდინარე აქციაზე, დაახლოებით 22 საათისთვის, წინა რიგებში მყოფ მოქალაქეებსა და პოლიციელებს შორის ვითარება დაიძაბა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა, საშუალო რანგისა და რიგითების ჩვენებების თანახმად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ჩანაცვლდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებით, რომელთაც სპეციალური აღჭურვილობა გააჩნდათ.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიუთითეს, რომ მოქალაქეთა ჯგუფი მათ ართმევდა ფარებს, ხელკეტებს, რობოკოპის აღჭურვილობას, ესროდა სხვადასხვა ნივთებს, იტაცებდა მწყობრიდან და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 22:00-24:00 საათამდე, სამინისტროს ხელმძღვანელობისგან მიღებული ბრძანების შესაბამისად, ისინი საკუთარ თავსა და შენობას მხოლოდ პასიური სპეციალური საშუალებებით (ფარი, ჩაფხუტი, რობოკოპი, ხელკეტი) იცავდნენ და მათზე თავდასხმის მიუხედავად, არ განაცალკევეს მშვიდობიანი მომიტინგეებისგან აღნიშნული ჯგუფი და არ აღკვეთეს მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

03:55, 03:59, 04:04, 04:10, 04:15, 04:19, 04:30 საათებზე. იხ: <https://bit.ly/39txWh8>. ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში, რომელიც 21 ივნისის 03:00 საათზე იწყება და გრძელდება 1 საათი და 47 წუთი, ასახულია რეზინის ტყვიების გამოყენება 03:40 საათზე. იხ: <http://rustavi2.ge/ka/video/44043?v=2> [ყველა ბმული ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

დეპარტამენტის თანამშრომელთა ჩვენებების თანახმად, დაახლოებით 24:00 საათისთვის გაიცა აქციის დაშლისა და ამ მიზნით ცრემლსადენი აირის ჭურვების გასროლის ბრძანება. არალეტალური იარაღით აღჭურვილი მეთოფეები ისროდნენ ცრემლსადენი აირის ჭურვებსა და რეზინის ტყვიებს. 02:00 საათისთვის თავისუფლების მოედანზე დაიწყო ე. წ. კოლოფის მოწყობა, რომელიც დაიძრა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის შენობამდე, რა დროსაც კვლავ ხდებოდა გაზის ჭურვებისა და რეზინის ტყვიების გამოყენება. საქმის მასალების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას გამოყენებული იქნა 3 სახის არალეტალური იარაღი:

- 12 მმ კალიბრიანი თოფები, რომელიც მხოლოდ რეზინის ტყვიებისთვის იყო განკუთვნილი;
- 38 მმ კალიბრიანი თოფები, რომლითაც რეზინისა და გაზის ტყვიების სროლა იყო შესაძლებელი;
- 40 მმ კალიბრიანი თოფები, რომლითაც მხოლოდ გაზის ჭურვების სროლა იყო შესაძლებელი.

ამასთან, აქციის დაშლისას, რამდენიმე საათის - დაახლოებით 00:00 საათიდან 04:30 საათამდე - განმავლობაში,[49] განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის 100-ზე მეტმა თანამშრომელმა გამოიყენა 3 სახეობის იარაღი, 5 სახეობის ტყვია და ჭურვი. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გასროლილ იქნა დაახლოებით 800-მდე რეზინის ტყვია.[50]

ამ სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად, მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა ათეულობით მოქალაქემ სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებები მიიღო. კერძოდ, საქმეზე დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის

[49] საქმის მასალების მიხედვით, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყო 21.06.2019 წ. 00:00 საათზე, არალეტალური იარაღის გამოყენება ფიქსირდება ტელევიზიების პირდაპირი ჩართვის ვიდეო ჩანაწერებში: <http://rustavi2.ge/ka/video/44042?v=2> („კურიერის" პირდაპირი იწყება 21.06.2019 01:00 საათზე და გრძელდება 1 საათი და 31 წუთი, რელევანტური მონაკვეთი: 00:01:42, 00:28:13, 00:38:00, 00:47:22, 00:53:21, 00:57:43, 01:17:13); <http://rustavi2.ge/ka/video/44043?v=2> („კურიერის" პირდაპირი ეთერი იწყება 21.06.2019, 03:00 საათზე, გრძელდება 1 საათი და 47 წუთი, რელევანტური მონაკვეთი: 00:04:00, 00:06:33, 00:37:26) [ყველა ბმული ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს]. საზოგადოებრივი მაუწყებლის უწყვეტი პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში ასახულია რეზინის ტყვიების გამოყენება რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა მონაკვეთზე: 03:05, 03:15, 03:21, 03:23, 03:29, 03:32, 03:55, 03:59, 04:04, 04:10, 04:15, 04:19, 04:30 საათებზე. იხ: <https://bit.ly/39txWh8>. ასევე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პირდაპირი ეთერის ვიდეო ჩანაწერში, რომელიც 21 ივნისის 03:00 საათზე იწყება და გრძელდება 1 საათი და 47 წუთი, ასახულია რეზინის ტყვიების გამოყენება 03:40 საათზე. იხ: <http://rustavi2.ge/ka/video/44043?v=2> [ყველა ბმული ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

[50] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2VNBjvl> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს]. გამოყენებული ტყვიების შესახებ ზუსტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სისხლის სამართლის საქმის საიდუმლო ნაწილში.

ჩამტარებელ დაწესებულებას გაეგზავნა 273 პირის დაზიანებების ამსახველი სამედიცნო დოკუმენტები, რომელთა მცირე ნაწილზე მიღებული დასკვნების თანახმად, ფიქსირდება დაზიანებები სხეულის სხვადასხვა არეში, მათ შორის, თავსა და სახეზე, ასევე, ცხვირის, შუბლის, ქალას და სახის ძვლების მოტეხილობები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ხოლო 2 პირს სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება დაუდგინდა.

შესაბამისად, საქმის მასალები მიუთითებს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს (მინისტრსა და მის მოადგილეებს) არ გაუციათ რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება.[51] მინისტრისა და მისი მოადგილეების რაციის ჩანაწერებიდან (რომელიც საქმეში დევს) ირკვევა, რომ მათ კატეგორიულად გამორიცხეს რეზინის ტყვიების გამოყენების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეთოფეებმა, რომელთაც სამსახურებრივადაც და ადგილზეც დეპარტამენტის დირექტორი ხელმძღვანელობდა, გაისროლეს დაახლოებით 800-მდე რეზინის ტყვია, ხოლო დეპარტამენტის დირექტორს აღნიშნული ქმედებების აღსაკვეთად არავითარი საშუალებისთვის არ მიუმართავს. ამასთან, იგი ვალდებული იყო, შეესრულებინა საკუთარი უშუალო ხელმძღვანელების - მინისტრისა და კურატორი მოადგილის ბრძანებები.

თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ მინისტრი და მისი მოადგილეები ჩვენებებში უთითებენ, რომ რეზინის ტყვიების გამოყენებისთანავე, მალევე მათთვის ცნობილი გახდა, თუმცა არ აკონკრეტებენ ზუსტ დროს. მიუხედავად ამისა არანაირი ღონისძიებისთვის არ მიუმართავთ, რომ მათი გაცემული ბრძანება შესრულებულიყო, მითუმეტეს, რეზინის ტყვიების გამოყენება არ იყო ერთჯერადი და ხანმოკლე ვადით. თუმცა, საგულისხმოა, რომ მინისტრისა და მისი მოადგილეებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების საშუალება (პირადი ვერბალური კომუნიკაცია, რაცია, მობილური ტელეფონი, ტელეკომუნიკაცია და სხვა) გამოძიებას დადგენილი არ აქვს, ხოლო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები (გარდა გდდ-ს დირექტორის ზოგადი მითითებისა ხელმძღვანელობის ინფორმირების შესახებ) ამ გარემოებას არ ადასტურებს.

5. ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმეები

ძირითადი სისხლის სამართლის საქმიდან (N074220619801) ცალკე წარმოებად გამოყოფილია 3 საქმე, სადაც ივლის-აგვისტოს თვეებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული იქნა მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და არალეტალური იარაღის უსაფუძვლო გამოყენების შედეგად მოქალაქეთა დაზიანების გამო 3 პოლიციელის მიმართ

[51]როგორც უკვე აღინიშნა, რაციის ჩანაწერებში ფიქსირდება წყვეტები, ხოლო წყვეტის მიზეზისა თუ სავარაუდო მონტაჟის კვალის აღმოჩენის მიზნით ექსპერტიზა ჩანაწერებზე არ ჩატარებულა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო მტკიცებულებები. პროკურატურამ 3 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომელთაგან 1 ბრალდებულს - შეეფარდა პატიმრობა (მოგვიანებით შეიცვალა გირაოთი) და 2 ბრალდებულს კი - გირაო.

ჩვენი შეფასებით, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, არ გამოვლენილა ისეთი გარემოებები, რაც ამ სამართალდამცავების პატიმრობის კანონისმიერ ვალდებულებას დააკმაყოფილებდა, ვინაიდან არ არსებობდა მათი მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის კონკრეტული საფრთხე.[52] რაც შეეხება პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების თაობაზე, იგი სავარაუდოდ გამოწვეული იყო უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შემთხვევაში მოსალოდნელი საზოგადოებრივი ნეგატიური პოზიციის მიმართ სიფრთხილით. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, მიგვაჩნია, რომ იყო დასაბუთებული. გარდა იმ ერთი შემთხვევისა, როდესაც სასამართლომ საწყის ეტაპზე გამოიყენა პატიმრობა (რაც მოგვიანებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გირაოთი შეიცვალა). ამ პოლიციელის მიმართაც თავდაპირველად პატიმრობის გამოყენების საფუძველი საქმის მასალების მიხედვით არ არსებობდა, ვინაიდან მტკიცებულებები უკვე მოპოვებული იყო და აღარ არსებობდა მათი განადგურების საფრთხე, ასევე, არ დასტურდებოდა მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის რისკი. განმასხვავებელი ფაქტობრივი გარემოება ამ სამ პირს შორის იყო მხოლოდ ის, რომ ეს უკანასკნელი სარგებლობდა დუმილის უფლებით. თუმცა, აღნიშნული, კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატიმრობის გამოყენების წინაპირობად.[53]

გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნობილია 8 პირი. აქედან ხსენებულ გამოყოფილ სამ საქმეზე 4 პირია დაზარალებულად ცნობილი, ხოლო სხვა 4 პირს დაზარალებულის სტატუსი ძირითადი გამოძიების ფარგლებში მიენიჭა.

5.1. დ.ნ.-ს ეპიზოდი

2019 წლის 14 ივლისს ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის N074140719801 საქმე, დ.ნ.-ს მიმართ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. 8 ივლისს მოწმის სახით გამოიკითხა მოქალაქე დ.ნ.. მისი ჩვენების თანახმად, დაახლოებით 04:10 საათზე, დაკავების დროს, პოლიციელმა დაარტყა სახეში. იგი შეიყვანეს სპეცრაზმის ჯგუფში, დაარტყეს, დააწვინეს ძირს, დაიწყეს ფეხის რტყმა

[52] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 205, ნაწ. 1.
[53] აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ამაზე მითითება არ გაუკეთებია.

მისთვის და ცდილობდნენ მობილურის წართმევას. მოგვიანებით, სამი პირი ცდილობდა მის მანქანაში ჩასმას, რა დროსაც ერთმა პოლიციელმა ჯერ მარცხენა ყბაში, შემდეგ კი თავში ძლიერად ჩაარტყა. ყბაში დარტყმის დროს მანქანის კარზე ჩამოარტყა სახე, რა დროსაც ცხვირსა და მარცხენა ტუჩის ქვედა არეში მიიღო დაზიანება.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის თანახმად, დ.ნ.-ს აღენიშნებოდა მსუბუქი ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება, განვითარებული მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, მარჯვენა მე-11 ნეკნის მოტეხილობა, გულ-მკერდის დახურული ტრავმა და 9-10-11 ნეკნთაშუა მიდამოზე მოყვითალო მოლურჯო სისხლჩაქცევა 6 სმ დიამეტრით.

გამოძიების ფარგლებში ამოღებულ იქნა დ.ნ.-ს მობილური ტელეფონიდან ინფორმაცია; ასევე, შსს-დან მიღებულია დ.ნ.-ს დაკავების მასალები, რომლის თანახმად, დააკავეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა. გამოძიების ფარგლებში ასევე ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩხრეკა-ამოღება, სხვადასხვა ვიდეო ჩანაწერების დათვალიერება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

შსს ერთ-ერთი თანამშრომლის, გ.დ.-ს ჩვენების თანახმად, მან ლ.ი-სგან იცის, რომ მან ერთ-ერთ დაკავებულ მომიტინგეს, რომელიც პოლიციელებს აგინებდა და ვერ სვამდნენ მანქანაში, ვერ მოითმინა და გაარტყა სახეში და თავის არეში. ასევე გამოიკითხა მისი თანამშრომელი, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია.

13 ივლისს მოწმის სახით გამოიკითხა თავად ლ.ი. ჩვენებაში მან უარყო 20-21 ივნისს რომელიმე პირის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. 15 ივლისს იგი დააკავეს სასამართლოს განჩინებით. დაკავებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო. დ.ნ. ცნობილ იქნა დაზარალებულად. ლ.ი-ს მიმართ აღკვეთს ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა.

27 სექტემბერს ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულ პატიმრობა შეეცვალა გირაოთი 10 000 ლარის ოდენობით. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძვლად სასამართლომ 2 ახალი გარემოება მიუთითა: ბრალდების სრულად აღიარება და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით კომისიური ექსპერტიზის დასკვნა.[54]

5.2. გ.კ.-ს ეპიზოდი

29 აგვისტოს ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის N074280819001 საქმე, გ.კ.-ს[55] მიმართ ძალადობით და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი

[54] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < http://tcc.gov.ge/ka/Decision/gancxadeba > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

[55] გამოძიების მასალებში იგივე პირი გვხვდება გ.კ.-ს (გვარში ერთი ასობგერა განსხვავებულად ფიქსირდება) სახელი და გვარითაც.

უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. გ.კ.-ს ჩვენების თანახმად, ორმა პოლიციელმა იგი უსაფუძვლოდ დააკავა. პოლიციელები იყვნენ აგრესიულები და ცდილობდნენ მისთვის ხელბორკილის დადებას. ამ დროს მათთან მივიდა მესამე პოლიციელი, რომელმაც ხელბორკილი გამეტებით ჩაარტყა თავისა და სახის არეში. ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი დაინახეს სხვა პოლიციელებმაც, თუმცა რეაგირება არ მოუხდენიათ. მოწმის განმარტებით, მან არ იცის აღნიშნული პოლიციელების ვინაობა, ვერ დააკვირდა მათ სახეებს და მათი იდენტიფიცირება ვერ შეძლო.

მოწმე ნ.შ.-მ მიუთითა, რომ „TV პირველის" 2019 წლის 21 ივნისის პირდაპირ ეთერში, 04:40:14 საათზე კადრებში ჩანს გ.კ.-ს დაკავებისა და მისთვის ხელბორკილის ჩარტყმის ფაქტი. გამოძიების ფარგლებში დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, დათვალიერდა არაერთი ვიდეო ჩანაწერი, სათვალთვალო კამერები, ამოღებულ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, ჩხრეკა-ამოღება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

24 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიებას მიეწოდა გენერალური ინსპექციის ხელთ არსებული მასალები, სადაც პოლიციის თანამშრომლები განმარტავდნენ, რომ მათმა კოლეგამ, მ.ა.-მ არასამსახურებრივ დროს მათ უთხრა, რომ სწორედ ის ურტყამდა მოქალაქეს ხელბორკილს. გამოკითხვისას მათ ეს ინფორმაცია დაადასტურეს. 27 აგვისტოს გამოკითხვისას ინფორმაცია ასევე დაადასტურა მ.ა.-მაც.

27 აგვისტოს მ.ა-ს წარედგინა ბრალდება. ბრალდებულმა თავი სრულად ცნო დამნაშავედ. გ.კ. დაზარალებულად იქნა ცნობილი. 8 აგვისტოს პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიმართა სასამართლოს, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ბრალდებულს შეეფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეცვალა.

5.3. თ.მ.-სა და მ.გ.-ს ეპიზოდი

2019 წლის 16 ივლისს ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის N074160719802 საქმე გ.ე-ს მიერ თ.მ.-სა და მ.გ.-ს მიმართ იარაღის გამოყენებით უფლებამოსილები გადამეტების ფაქტზე. სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, თ.მ.-ს ჰქონდა მარცხენა ბარძაყის ჭრილობა ნერვის, კანის მგრძნობიარე ტოტების კუნთების და მყესების დაზიანებით, ხოლო მ.გ.-ს - მარცხენა ბარძაყის ღია ჭრილობა.

28 ივნისს თ.მ.-მ განმარტა, რომ აქციაზე მობილური ტელეფონით იღებდა კადრებს, თუ როგორ ესროდნენ პოლიციელები აქციის მონაწილეებს. მისი ჩვენების თანახმად, პოლიციელმა გადატენა იარაღი და ესროლა მას პირდაპირი დამიზნებით, დაახლოებით 2 მეტრის მანძილიდან. მოქალაქე უთითებს, რომ ოპერაციის შემდეგ მისი სხეულიდან 9 უცხო სხეული ამოიღეს. მან ჩვენებაში აღწერა იმ პოლიციელის ნიშნები, რომელმაც ესროლა.

29 ივნისს მ.გ.-მ განმარტა, რომ მან შენიშნა შავფორმიანი პირი, რომელიც იარაღს უმიზნებდა კიბეზე ჩამავალ ხალხს. მოქალაქის ცნობით, ის წინ გადაუდგა აღნიშნულ პირის, რითიც სროლის საშუალება არ მისცა. სხვა პოლიციელი მიეპარა და წელზე ხელის შემოხვევით განზე გაწია, რის შემდეგაც მარცხენა ფეხზე იგრძნო ტკივილი. მოწმეს წარედგინა ვიდეო ჩანაწერი, სადაც ამოიცნო მისი და თ.მ.-ს დაზიანების კადრები.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, თ.მ.-ს დაზიანება განეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. გამოძიების ფარგლებში ჩატარდა ბალისტიკური ექსპერტიზა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ჩხრეკა-ამოღება, სხვადასხვა ჩანაწერების დათვალიერება და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკითხნენ მოწმეები, რომლებმაც გამოძიებას მიაწოდეს ინფორმაცია თ.მ.-სა და მ.გ.-ს დაზიანების მიღების გარემოებების შესახებ.

16 ივლისს გ.ე.-ს მონაწილეობით დათვალიერდა ვიდეოკადრები. მან აღიარა, რომ ვიდეოკადრებზე თავად ჩანდა, რის შემდეგაც იგი დააკავეს. დაზარალებულად იქნენ ცნობილი თ.მ. და მ.გ.. 18 ივლისს, სასამართლოს განჩინებით, პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე არ დაკმაყოფილდა. იმავე დღეს, გირაოს გადახდის შემდეგ, ბრალდებული გათავისუფლდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეცვალა.

5.4. დაზარალებულად ცნობილი სხვა პირები

გარდა ცალკე გამოყოფილ საქმეებში დაზარალებულად ცნობილი პირებისა, გამოძიების ფარგლებში, ძირითად საქმეზე, როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად[56] დაზარალებულად ცნობილია 4 პირი: ო.ს., მ.გ., მ.ლ. და გ.ს..

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პირთა დაზარალებულად ცნობაც მხოლოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ზეწოლისა და პროტესტის შემდგომ მოხდა, რასაც წინ უძღვოდა სასამართლოს უარი მათ დაზარალებულად ცნობაზე.[57] სასამართლომ 9 დეკემბერსა და 18 დეკემბერს ასევე არ დააკმაყოფილა 12 სხვა პირის საჩივარი დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ განჩინებებში სასამართლო უთითებდა, რომ არ იყო მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები, რომლითაც უნდა დადგინდეს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული დაზიანების ხარისხი და მექანიზმი. სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგინდეს ჩადენილია თუ არა დანაშაული და უშუალოდ რა დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი.

[56] 2020 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით.
[57] ინფორმაცია ხელმისაწვდომია < https://bit.ly/377intB > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 7 მარტს].

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განმარტება არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო მოთხოვნებს, აუცილებელია, პროკურატურამ შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოს ვიდეო ჩანაწერების დათვალიერება, კონკრეტული ეპიზოდების გაშიფვრა და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების იდენტიფიცირება, გამოძიების პროცესში მათი მაქსიმალური მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ვიდეო მასალების დათვალიერების შედეგად კონკრეტული დანაშაულებრივი ეპიზოდებისა და შედეგად დაზარალებული მოქალაქეების, მათ შორის, ჟურნალისტების, იდენტიფიცირების შედეგად, შესაძლებელი გახდებოდა კონკრეტული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, იმ ეტაპამდეც კი, სანამ ექსპერტიზის დასკვნებით დაზიანების ზუსტი ხარისხი არ იქნებოდა დადგენილი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მ.გ.-ს დაზარალებულად ცნობის მიუხედავად, მას სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ორი ტომი გააცნეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ დაზარალებულს არ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, თუ ეს გამოძიების ინტერესებს ეწინააღმდეგება.[58] თუმცა, აღნიშნული საფუძვლის შესახებ მ.გ.-ს ინფორმაცია არ მიწოდებია. სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ მიეცა მ.გ.-ს სისხლის სამართლის საქმის სხვა მასალების გაცნობის შესაძლებლობა, თუმცა პროკურატურამ აღნიშნულის სამართლებრივი საფუძველი არც სახალხო დამცველის აპარატს განუმარტა.[59]

6. სახალხო დამცველის ინტერვენცია

საქმის შესწავლის პარალელურად სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას 6 წინადადებით მიმართა. აქედან 5 წინადადება კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების პრიორიტეტულად ჩატარებას ეხებოდა, ხოლო 1 წინადადებით სახალხო დამცველმა კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მოითხოვა.[60]

დასახელებული 5 წინადადების (საგამოძიებო მოქმედებების შესახებ) მიზანს წარმოადგენდა გამოძიების ეფექტიანად და სწრაფად ჩატარება, აგრეთვე, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება პოლიციის მაღალი და საშუალო რანგის თანამშრომლების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების შესაძლო ჩადენის შესახებ.

---

[58] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი.

[59] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 დეკემბრის N13/86194 და 2019 წლის 17 დეკემბრის N13/88174 წერილები.

[60] წინადადებები გაიგზავნა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიების მიმდინარეობის თავდაპირველ ეტაპზე გამოიკითხნენ 2019 წლის 20-21 ივნისს რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლისას დაზარალებული პირები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც აქციის მონაწილეთა წინა რიგებში არეულობის დაწყებისას, მიღებული ბრძანების შესაბამისად, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში, მხოლოდ პასიური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფდნენ საქართველოს პარლამენტის სასახლის პერიმეტრის დაცვას.

ვინაიდან 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები შესაძლოა ჩადენილი ყოფილიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მოქმედებით, ასევე უმოქმედობით, საქართველოს სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად მიიჩნია, კონკრეტული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ წინადადებებით მიემართა გამოძიებისათვის.

წინადადება N1 - 2019 წლის 19 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა პროკურატურას და მოითხოვა:

- გამოძიების მიერ დეტალურად და დროულად იქნეს მოპოვებულ და შესწავლილი 2019 წლის 20-21 ივნისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, უშუალოდ აქციის დაშლის პერიოდში და შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ შედგენილი სრული დოკუმენტაცია: მათ შორის, ოპერატიული შეტყობინებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, მითითებები, პატაკები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ტექნიკური საშულებებით (მათ შორის რაციით) გადაცემული შეტყობინებები;
- გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამდებობის პირები, რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცავები ახორციელებდნენ 2019 წლის 20-21 ივნისს აქციის დაშლას მათ მიერ გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და პირადი შემადგენლობის მიერ თითოეული ბრძანების შესრულების გარემოებების შესახებ;
- გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ აქციის დაშლისას და შედეგ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებებისას კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე, რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული მათ მიერ, როდესაც

მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცავების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა კონკრეტული პირების მიმართ ძალის გადამეტებას და აღნიშნული პირდაპირ ეთერში ვრცელდებოდა მედია საშუალებების მიერ, რათა დადგინდეს ერთის მხრივ აქტიური ქმედებების - ბრძანებებისა და ინსტრუქციის გაცემის შინაარსი და კანონშესაბამისობის ფარგლები, მეორე მხრივ კი უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი;

- ასევე ჩატარდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რათა დადგინდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გარდა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესაძლო მონაწილეობა 20-21 ივნისს აქციის დაშლის პროცესში და მათი შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხი.

2019 წლის 19 ივლისის წინადადების გაცემის შემდეგ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოძიების მიერ გამოკითხული იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრის ორი მოადგილე. ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომელთა ნაწილი, რომლების მიერაც 20-21 ივნისს აქციის დაშლისას გამოყენებული იქნა აქტიური სპეციალური საშუალებები. არ იყო გამოკითხული მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე, რომელიც მითითებული იყო ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დოკუმენტში. მასალების შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გამოძიების მიერ ჩატარებული მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების, ასევე იმ სამართალდამცავების გამოკითხვა, რომლებმაც გამოიყენეს აქტიური სპეციალური საშუალებები, არ იყო სრულყოფილი - არ დგინდებოდა რეზინის ჭურვების გამოყენების შესახებ გაიცა თუ არა ბრძანება და ვის მიერ. ასევე არ დგინდებოდა, ჰქონდათ თუ არა ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს ინფორმაცია ცალკეული პოლიციელების მხრიდან არალეტალური იარაღის გამოყენებისას უფლებამოსილების გადამეტების შესახებ და ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, იქნა თუ არა მათ მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებანი პოლიციელთა მიერ კანონდარღვევის აღკვეთის მიზნით. მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიებას მორიგი წინადადებით მიმართა.

წინადადება N2 - 2019 წლის 31 ივლისი:

- განმეორებით გამოიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, მინისტრის პირველი მოადგილე კახაბერ საბანაძე და მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე, მათ მიერ, როგორც 20-21 ივნისის ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი და ხელმძღვანელი პირების მიერ რა ღონისძიებები იქნა

გატარებული უშუალოდ აქციის დაშლის პერიოდში პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტების აღკვეთის მიზნით;

- გამოძიების მიერ დადგინდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან კაკავას მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ „პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და აღდგენის ღონისძიებების გეგმით" გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესრულების გარემოებები, ფარგლები ან/და აღნიშნული უფლებამოსილებების შეუსრულებლობის შედეგები;
- გამოძიების მიერ დადგენილ იქნეს 2019 წლის 20-21 ივნისს გაცემულ იქნა თუ არა და ვის მიერ რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება;
- გამოძიების მიერ მოპოვებულ და შესწავლილ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად მოქალაქეთა დაზიანებებთან დაკავშირებით შედგენილი შესაბამისი სრული დოკუმენტაცია (კერძოდ, აცნობა თუ არა რომელიმე პირმა, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პროკურატურას გამოყენებული სპეციალური საშუალებებისა და მოქალაქეთა დაზიანების შესახებ ინფორმაცია, ან/და შედგა თუ არა შსს თანამშრომლების მიერ წერილობითი დოკუმენტაცია ღონისძიებაში მისი/მათი მონაწილეობის გარემოებებისა და შედეგების შესახებ);
- ჩატარებულ იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ივლისის წინადადებაში მითითებული სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

N2 წინადადებაში მითითებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზანი იყო გამოკვეთილიყო შეასრულეს თუ არა ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა პირადი შემადგენლობის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე სათანადო კონტროლის განხორციელების მოვალეობა.

საქმის მასალების შემდგომი შესწავლის შედეგად, ვინაიდან გამოძიების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა გამოკითხვებით ზოგადად დგინდებოდა, რომ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით პოლიციის თანამშრომლებს ხელმძღვანელ პირების მიერ ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი სპეციალური საშუალებების კანონის შესაბამისად გამოყენებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მესამედ მიმართა პროკურატურას.

წინადადება N3 - 2019 წლის 9 აგვისტო:

- გამოიკითხონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ის ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც გამოკითხულ თანამშრომელთა ჩვენებების თანახმად, 2019 წლის 20-21 ივნისს დავალებაზე გასვლის წინ პირად შემადგენლობას ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი მათ მიერ გაცემულ მითითებებთან დაკავშირებით;
- დამატებით გამოიკითხონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები მათ მიერ ხელმძღვანელობისგან მიღებული ინსტრუქტაჟის შინაარსის შესახებ დეტალურად;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ის თანამშრომლები, რომელთა გამოკითხვა განხორციელდა შემდგომ პერიოდში, დეტალურად გამოიკითხონ მათ მიერ მიღებული/გაცემული ინსტრუქტაჟის შესახებ;
- ჩატარებულ იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ივლისისა და 31 ივლისის წინადადებებში მითითებული სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

N3 წინადადებაში მითითებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად უნდა დადგენილიყო, სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, ასევე უშუალო უფროსების მიერ გაიცა თუ არა დეტალური მითითებები, კონკრეტულად რა გარემოებებში, რომელი სახის სპეციალური საშუალებები უნდა გამოეყენებინათ ღონისძიებაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლებს. რა მიზნით და რა სახის საფრთხის არსებობისას უნდა მოეხდინათ რეზინის ჭურვების გამოყენება და სავალდებულო იყო თუ არა აღნიშნულზე ხელმძღვანელობისგან ნებართვის მიღება, რა ქმედებები უნდა განეხორციელებინათ მათ მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების შედეგად მოქალაქეთა დაზიანების შემთხვევაში. აღნიშნულის შედეგად ასევე გამოიკვეთებოდა რამდენად შესრულდა ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ აქციის დაშლისას მათზე დაკისრებული ვალდებულება, შესაბამისი კონტროლი გაეწიათ დაქვემდებარებული პირების მიერ კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე, რომ აქციის დაშლისას ადგილი არ ჰქონოდა სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასა და აქციის მონაწილეთა უფლებების დარღვევას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების დამატებით შესწავლის შედეგად გამოკვეთა, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის ღონისძიებაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა გარდა მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოების სხვა სტრუქტურებიც. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური და

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. ღონისძიებაში მათი უფლება-მოვალეობებისა და განხორციელებული ქმედებების დადგენის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა მეოთხედ მიმართა გენერალურ პროკურატურას.

წინადადება N4 - 2019 წლის 16 აგვისტო:

- გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციაზე მისი ფუნქციების, მის მიერ გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და პირადი შემადგენლობის მიერ თითოეული ბრძანების შესრულების გარემოებების შესახებ;
- გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც 2019 წლის 20-21 ივნისის აქციაზე ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას მათი ფუნქციის, როლის, მიღებული ბრძანებების/მითითების/დავალების და განხორციელებული ქმედებების შესახებ;
- ამოღებული და შესწავლილი იქნეს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ 2019 წლის 20-21 ივნისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილი ყველა დოკუმენტი;
- ჩატარებულ იქნეს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ივლისის, 31 ივლისის და 9 აგვისტოს წინადადებებში მითითებული სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

მოგვიანებით, უკვე 2019 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებას მოპოვებული ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაციების ჩანაწერები. თუმცა, მოცემული დროისთვის გამოძიების მიერ არ იყო მოპოვებული ქვედა რგოლის რაციის სიხშირით მოსარგებლეთა ჩანაწერები, რომელთა მოპოვების შედეგად შესაძლოა დადგენილიყო უშუალოდ აქციის დაშლისას ველზე მოქმედი თანამშრომლებისთვის ხელმძღვანელი პირების მიერ მიცემული ბრძანებებისა და მითითებების, ასევე ველზე მყოფი პირების მიერ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი. ამასთან, გამოძიების მიერ

მოპოვებულ ხელმძღვანელი რგოლის რაციების ჩანაწერების ფაილებში, რიგ შემთხვევებში, იკვეთებოდა ჩანაწერის წყვეტა. ამიტომ სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას მეხუთე წინადადებით მიმართა.

წინადადება N5 - 2019 წლის 24 სექტემბერი:

- ამოღებული იქნეს 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის მართვაში მონაწილე ყველა რგოლის სამართალდამცავი პირის რაციის ჩანაწერი;
- გაირკვეს, თუ რა მიზეზით არ იქნა მოპოვებული სხვა თანამშრომელთა რაციის ჩანაწერები, მაშინ როცა კომუნიკაციაში მკაფიოდ ისმის სხვა რაციების არსებობა;
- დაინიშნოს და ჩატარდეს ექსპერტიზები რაციების ჩანაწერებში არსებული ხმის წყვეტის მიზეზის დადგენის მიზნით იმ პერიოდში, როდესაც წყდებოდა სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხი (დაახლოებით 20 ივნისის 21:50 საათიდან 21 ივნისის 02:50-მდე საათამდე პერიოდში);
- ამოღებული იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების - მინისტრის, მისი მოადგილეების (ოპერაციაზე პასუხისმგებელი), განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორების, სამმართველოს, განყოფილების, ქვეგანყოფილების და ყველა მეთოფის მობილური ტელეფონი და დაინიშნოს ექსპერტიზა სატელეფონო შეტყობინებების, სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული მიმოწერის მოპოვების მიზნით;
- გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის მართვაში მისი ფუნქციების, გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და მის მიერ გაცემული ბრძანებების შესრულების გარემოებების შესახებ;
- დათვალიერდეს რუსთაველის გამზირის მხრიდან საქართველოს პარლამენტის სასახლის შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიის; აგრეთვე ქაშუეთის ეკლესიისა და სასტუმრო თბილისი მარიოტის მიმდებარე ტერიტორიის ამსახველი გარე სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ ჩაწერილი ვიდეომასალები, რათა დადგინდეს რეზინის ტყვიების გამოყენების გარემოებები;
- ჩატარდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 19 ივლისის, 2019 წლის 31 ივლისის, 2019 წლის 9 აგვისტოს და 2019 წლის 16 აგვისტოს წინადადებებში მითითებული სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

2020 წლის 9 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მიჩნეულ იქნა, რომ საქმის მასალები ქმნიდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირის მიერ საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთვის. შესაბამისად, ამჯერად სახალხო დამცველმა პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინადადებით მიმართა.

წინადადება N6 - 2020 წლის 9 იანვარი:

- დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის გ.ყ-ის მიმართ;

საქმის მასალებიდან გამოიკვეთა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის სამართლებრივი ვალდებულება, აღეკვეთა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მეთოფეების კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (სპეციალური საშუალების არაპროპორციული გამოყენება) და ჰქონდა ამგვარი მოქმედების შესაძლებლობა. მის მიერ სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობამ ათეულობით მოქალაქის მძიმე ფიზიკური დაზიანების მიყენება გამოიწვია.

კერძოდ, გ.ყ-ს ხელმძღვანელების მხრიდან ჰქონდა მითითება არ გამოეყენებინათ რეზინის ტყვიები. იგი უშუალოდ გადაადგილდებოდა ველზე და მისივე განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა რეზინის ტყვიების გამოყენების შესახებ. მიუხედავად ამისა, საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მას არ გაუტარებია არანაირი ღონისძიება ამ ქმედების აღკვეთის მიზნით, მეორე მხრივ კი საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან ინფორმაცია მიაწოდა მინისტრს ან მინისტრის მოადგილეებს. უფრო მეტიც, მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა რაციების მეშვეობით ხელმძღვანელობას. რაციის ჩანაწერებით იკვეთება, რომ მან ხელმძღვანელობას მოახსენა მცდარი ინფორმაცია თოფების არ გამოყენებასთან დაკავშირებით (21 ივნისს 00:16 საათი). რაციით ტყვიების არგამოყენებასთან დაკავშირებით განმეორებითი ბრძანების მიღების მიუხედავად (00:36 საათი) ტყვიების სროლა გაგრძელდა. მოგვიანებით გდდ-ს დირექტორმა ითხოვა ნებართვა ტყვიების გამოყენებაზე და უშუალო კურატორი ხელმძღვანელისგან - კახაბერ საბანაძისგან - უარის მიღების მიუხედავად (02:34 საათი), რეზინის ტყვიების ხშირი სროლა ისევ გაგრძელდა.

კონკრეტულ პოლიციელთა პასუხისგებაში მიცემა აუცილებელია, თუმცა არასაკმარისი. აქციის დაშლის დროს მოქალაქეთა უფლებების დანაშაულებრივი დარღვევის შეფასება ჰოლისტურ მიდგომას საჭიროებს. გამოძიების დასაწყისი ეტაპიდანვე, სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული პოლიციელების მხრიდან ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების დადგენა, არამედ შეკრების თავისუფლების შეწყვეტის აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხის

სათანადო სამართლებრივი შეფასება და ამ პროცესში შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების (მოქმედება/უმოქმედობა) ადეკვატური შეფასება. შესაბამისად, გამოძიების მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ ქვედა რგოლის, რიგითი თანამშრომლების ბრალეულობის გამოკვეთა, არამედ შსს-სა და სხვა ორგანოების იმ ხელმძღვანელ პირთა იდენტიფიცირება, რომელთა მოქმედებამ თუ უმოქმედობამ გამოიწვია უამრავი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

7. დასკვნა

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, მრავალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიუხედავად, კვლავ შორსაა საქმეზე სრული სურათის შექმნისაგან. 3 ეპიზოდის ცალკე გამოყოფის, 3 პირის ბრალდებულად ცნობისა და 8 პირის დაზარალებულად ცნობის მიუხედავად, ამ ეტაპზე გამოძიება კვლავ პოლიციის რიგით თანამშრომლებზე ფოკუსირდება და არ არის მიმართული პოლიციის ხელმძღვანელთა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისაკენ.

გამოძიება მნიშვნელოვანი და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას აგვიანებს, ხოლო კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას არ გამოირჩევა საჭირო გულისხმიერებით (განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მაღალი თანამდებობის პირების გამოკითხვისას არ დაისვა კონკრეტული და დეტალური კითხვები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით). შესაბამისად, გამოძიებას ამ ეტაპისთვის აქვს ხარვეზები დროულობისა და ზედმიწევნითობის კომპონენტებში, რაც გამოძიების ეფექტიანად შეფასებისთვის არსებითად შემაფერხებელი წინაპირობაა.

ანგარიშში მითითებული ვიდეომასალის მიხედვით, არალეტალური იარაღის გამოყენებისას პოლიციის თანამშრომლების ან სხვა პირების მიმართ[61] ადგილი არ ჰქონდა აქციაში მონაწილე პირების მხრიდან იმწუთიერ და იმგვარ მასობრივ თავდასხმას, რაც ისეთ საფრთხეს შეუქმნიდა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, რომ პოლიციის რამდენიმე თანამშრომელს ერთად, ხელმძღვანელი პირის ბრძანების გარეშე მიეღო გადაწყვეტილება სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით არალეტალური ჭურვების გამოყენების თაობაზე, რაც რამდენიმე პოლიციელს მიერ ერთობლივად არალეტალური ჭურვის გასროლას მათი მიმართულებით პროპორციულ მართლზომიერ მოგერიებად აქცევდა.

20-21 ივნისის აქციის დაშლისას მეთოფეების მიერ არალეტალური ჭურვების გამოყენება კანონმდებლობით დადგენილი ბრძანების არარსებობის, ჭურვების რაოდენობისა (რამდენიმე ასეული) და მეთოფეების (რამდენიმე ათეული)

[61] არალეტალური იარაღის გამოყენების შემდგომ ეპიზოდებში.

რაოდენობის, ლოკაციის ფართობის (როგორც უშუალოდ პარლამენტის შენობის წინ, ასევე, რუსთაველის გამზირის სხვა მონაკვეთებზე), რამდენიმე საათიანი პერიოდის ხანგრძლივობით და დაშავებული მომიტინგეების რაოდენობისა და დაზიანებების ხარისხის მიხედვით არ შეიძლება შეფასდეს პროპორციულ და თანაზომიერ საშუალებად.

პოლიციის თითოეულმა თანამშრომელმა დაარღვია მათი ვალდებულება, შეკრება-მანიფესტაციების დაშლის დროს არალეტალური ჭურვები გამოიყენონ მხოლოდ ხელმძღვანელის ბრძანების გაცემის საფუძველზე. ასევე, იკვეთება უშულოდ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლების ადგილზე ხელმძღვანელობდნენ ღონისძიებას და თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირად შემადგენლობას არ მისცეს სათანადო მითითებები გამოეყენებინათ ან შეეწყვიტათ რეზინის ტყვიების გამოყენება.

შესაბამისად, სახალხო დამცველის მიაჩნია, რომ ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცალკეული პოლიციელების მხრიდან ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების დადგენა, არამედ იმ პირთა მოქმედებისა თუ უმოქმედობის სამართლებრივი შეფასება, ვინც ხელმძღვანელობდა ამ პროცესს. სწორედ, ამ პირთა პასუხისმგებლობის დადგენის/გამორიცხვის მიზნით აუცილებელია შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდეს სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებები.

როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველმა ექვსჯერ მიმართა გენერალურ პროკურატურას წინადადებით. წინადადებებით (რომლებიც რამდენიმე მოქმედების ჩატარებას მოიცავდა ხოლმე) სახალხო დამცველმა მოითხოვა 21 კონკრეტული ქმედების განხორციელება. აქედან 20 მოთხოვნა მიემართებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დამატებით ერთი - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. 21 მოთხოვნიდან დაკმაყოფილდა 11, ხარვეზიანად ან/და ნაწილობრივ შესრულდა 3, არ შესრულდა 7 მოთხოვნა, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე.

შესრულდა სახალხო დამცველის შემდეგი წინადადებები:

1. გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამდებობის პირები, რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცავები ახორციელებდნენ 2019 წლის 20-21 ივნისს აქციის დაშლას მათ მიერ გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და პირადი შემადგენლობის მიერ თითოეული ბრძანების შესრულების გარემოებების შესახებ;

2. ჩატარდეს სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რათა დადგინდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გარდა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესაძლო მონაწილეობა 20-21 ივნისს აქციის დაშლის პროცესში და მათი შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხი.
3. გამოძიების მიერ დადგინდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან კაკავას მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ „პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და აღდგენის ღონისძიებების გეგმით" გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესრულების გარემოებები, ფარგლები ან/და აღნიშნული უფლებამოსილებების შეუსრულებლობის შედეგები;
4. გამოძიების მიერ დადგენილ იქნეს 2019 წლის 20-21 ივნისს გაცემულ იქნა თუ არა და ვის მიერ რეზინის ტყვიების გამოყენების ბრძანება;
5. გამოძიების მიერ მოპოვებულ და შესწავლილ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად მოქალაქეთა დაზიანებებთან დაკავშირებით შედგენილი შესაბამისი სრული დოკუმენტაცია (კერძოდ, აცნობა თუ არა რომელიმე პირმა, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პროკურატურას გამოყენებული სპეციალური საშუალებებისა და მოქალაქეთა დაზიანების შესახებ ინფორმაცია, ან/და შედგა თუ არა შსს თანამშრომლების მიერ წერილობითი დოკუმენტაცია ღონისძიებაში მისი/მათი მონაწილეობის გარემოებებისა და შედეგების შესახებ);
6. გამოიკითხონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ის ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც გამოკითხულ თანამშრომელთა ჩვენებების თანახმად, 2019 წლის 20-21 ივნისს დავალებაზე გასვლის წინ პირად შემადგენლობას ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი მათ მიერ გაცემულ მითითებებთან დაკავშირებით;
7. დამატებით გამოიკითხონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები მათ მიერ ხელმძღვანელობისგან მიღებული ინსტრუქტაჟის შინაარსის შესახებ დეტალურად;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ის თანამშრომლები, რომელთა გამოკითხვა განხორციელდა შემდგომ პერიოდში, დეტალურად გამოიკითხონ მათ მიერ მიღებული/გაცემული ინსტრუქტაჟის შესახებ;
9. გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციაზე მისი

ფუნქციების, მის მიერ გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და პირადი შემადგენლობის მიერ თითოეული ბრძანების შესრულების გარემოებების შესახებ;

10. გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც 2019 წლის 20-21 ივნისის აქციაზე ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას მათი ფუნქციის, როლის, მიღებული ბრძანებების/მითითების/დავალების და განხორციელებული ქმედებების შესახებ;
11. ამოღებული და შესწავლილი იქნეს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ 2019 წლის 20-21 ივნისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილი ყველა დოკუმენტი.

ნაწილობრივ ან/და ხარვეზიანად შესრულდა შემდეგი წინადადებები:

1. გამოძიების მიერ დეტალურად და დროულად იქნეს მოპოვებულ და შესწავლილი 2019 წლის 20-21 ივნისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან, უშუალოდ აქციის დაშლის პერიოდში და შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ შედგენილი სრული დოკუმენტაცია: მათ შორის, ოპერატიული შეტყობინებები, ბრძანებები, ინსტრუქციები, მითითებები, პატაკები, სარეგისტრაციო ჟურნალები, ტექნიკური საშულებებით (მათ შორის რაციით) გადაცემული შეტყობინებები;
2. გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ აქციის დაშლისას და შედეგ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებებისას კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე, რა სახის ღონისძიებები იქნა გატარებული მათ მიერ, როდესაც მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცავების მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა კონკრეტული პირების მიმართ ძალის გადამეტებას და აღნიშნული პირდაპირ ეთერში ვრცელდებოდა მედია საშუალებების მიერ, რათა დადგინდეს ერთის მხრივ აქტიური ქმედებების - ბრძანებებისა და

ინსტრუქციის გაცემის შინაარსი და კანონშესაბამისობის ფარგლები, მეორე მხრივ კი უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი;

3. დათვალიერდეს რუსთაველის გამზირის მხრიდან საქართველოს პარლამენტის სასახლის შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიის; აგრეთვე ქაშუეთის ეკლესიისა და სასტუმრო თბილისი მარიოტის მიმდებარე ტერიტორიის ამსახველი გარე სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ ჩაწერილი ვიდეომასალები, რათა დადგინდეს რეზინის ტყვიების გამოყენების გარემოებები.

არ შესრულებულა შემდეგი წინადადებები:

1. განმეორებით გამოიკითხოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, მინისტრის პირველი მოადგილე კახაბერ საბანაძე და მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე, მათ მიერ, როგორც 20-21 ივნისის ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი და ხელმძღვანელი პირების მიერ რა ღონისძიებები იქნა გატარებული უშუალოდ აქციის დაშლის პერიოდში პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტების აღკვეთის მიზნით;
2. ამოღებული იქნეს 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის მართვაში მონაწილე ყველა რგოლის სამართალდამცავი პირის რაციის ჩანაწერი;
3. გაირკვეს, თუ რა მიზეზით არ იქნა მოპოვებული სხვა თანამშრომელთა რაციის ჩანაწერები, მაშინ როცა კომუნიკაციაში მკაფიოდ ისმის სხვა რაციების არსებობა;
4. დაინიშნოს და ჩატარდეს ექსპერტიზები რაციების ჩანაწერებში არსებული ხმის წყვეტის მიზეზის დადგენის მიზნით იმ პერიოდში, როდესაც წყდებოდა სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხი (დაახლოებით 20 ივნისის 21:50 საათიდან 21 ივნისის 02:50-მდე საათამდე პერიოდში);
5. ამოღებული იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების - მინისტრის, მისი მოადგილეების (ოპერაციაზე პასუხისმგებელი), განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის დირექტორების, სამმართველოს, განყოფილების, ქვეგანყოფილების და ყველა მეთოფის მობილური ტელეფონი და დაინიშნოს ექსპერტიზა სატელეფონო შეტყობინებების, სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული მიმოწერის მოპოვების მიზნით;
6. გამოიკითხოს/დაიკითხოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის მართვაში

მისი ფუნქციების, გაცემული ბრძანებების შინაარსის, დროისა და მის მიერ გაცემული ბრძანებების შესრულების გარემოებების შესახებ;

7. დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის მიმართ.

პარალელურად, სახალხო დამცველი პროკურატურას მოუწოდებს, მჭიდროდ ითანამშრომლოს დაზარალებულებთან, აწარმოოს მათთან დიალოგი და ყოველ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, განუმარტოს მათ, თუ რატომ ვერ ხერხდება მათთვის საქმის მასალების სრული მოცულობით გაცნობა. სხვა მოქალაქეების პარალელურად, ასევე, ინტენსიურად იმუშაოს ჟურნალისტების დაზიანების ეპიზოდებზე და მიანიჭოს მათ დაზარალებულის სტატუსი.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობას და იმედს ვიტოვებთ პროკურატურა უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის დაკმაყოფილებას შემდგომ ეტაპებზე.